ახალი განათლება

www.akhaliganatleba.ge
facebook.com/
Akhali Ganatleba

№14 (928) გაზეთის 1998 წლიდან

29.04-05.05.2021

საგაზაფხულო არდადეგები — 30 აპრილიდან 13 მაისამდე

- დასვენების დღეებს სკოლები ინდივიდუალური გრაფიკით ანაზღაურებენ. რეკომენდაციები ყველა სკოლას დაეგზავნა.
- სასწავლო წლის გახანგრძლივება არ იგეგმება, ტრადიციულად, 15 ივნისს დასრულდება.
- პედაგოგთა ვაქცინაცია სასწავლო წლის უსაფრთხოდ, საკლასო ოთახებში დასრულებას განაპირობებს. უკვე აღირიცხა 55 წელს ზევით მყოფი ასაკის 30 000-მდე სკოლის პედაგოგი და 10 000-მდე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგი, რომლებსაც ეკუთვნით კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.
- გაზრდილია რისკის ჯგუფში მყოფი იმ მასწავლებლების რაოდენობაც, რომელთაც დისტანციური სწავლების თხოვნაზე შელავათი გაეწიათ. ამ ეტაპზე, დისტანციური სწავლების ფორმატში, ქვეყნის მასშტაბით, 123 მასწავლებელი იმყოფება.

სრულ დისტანციურ სწავლებაზე 74 სკოლა და 191 წვლკეული კლასია გადასული.

აბიტურიენტთა დასახმარებლად

როგორ მოვემზადოთ ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდისთვის

ნინო ჭუმბურიძე
შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის წევრი

საგამოცდო ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში სამი ნაწილისაგან შედგება: ტექსტის რედაქტირება, არგუმენტირებული ესე, მხატვრული ტექსტის ანალიზი.

პირველ დავალებაში – რედაქტირება – მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ორთოგრაფიული, მორფოლოგიური, სინტაქსური და პუნქტუაციური ხასიათის შეცდომები, ასევე, არის სტილისტური ხარვეზი. აბიტურიენტმა უნდა გაასწოროს ეს შეცდომები და ხარვეზი და ტექსტი სწორი სახით გადაწეროს.

1. ტექსტის რედაქტირება (16 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი, გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.
გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.
თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

სხეულის ამა თუ იმ ნაწილის გახვრეტისა და მასში რგოლის ან სხვა ფორმის ნივთის ჩამაგრების ტრადიცია ძალიან ძველია. ზოგი ამას თავისი სოციალური სტატუსის ხაზგასასმელად აკეთებდა ზოგს კი წამდა, რომ ეს ნივთი ბოროტი ძალებისაგან მის დაცვას ახდენდა. ეგვიპტელ დიდ-გვაროვნებს ყურებში სპეციალური საცობები ეკეთათ ჭიპის გახვრეტის პატივი კი მხოლოდ ფარაონებს ჰქონდათ. მაიას ტომებსა და აცტეკებში გავრცელებული იყო ენის გახვრეტის რიტუალი. მათი რწმენით, სისხლს რომელიც ამ დროს ადამიანს ენისგან სდიოდა ღმერთებთან მისი დაახლოება შეეძლო.
XX საუკუნის ბოლომდე სხეულის სხვადასხვა ნაწილის გახვრეტა დასავლურ კულტურისათვის თითქმის უცნობი იყო. მისი პოპულარიზაცია უკავშირდება პანკების მოძრაობას რომლის მიზანიც საზოგადოების ყურადღების მიპყრობა და პროტესტის გამოხატვა იყო. ახალგაზრდობამ ყურების, წარბების, ტუჩებისა და ცხვირის გახვრეტა დაიწყეს.
დღეს ასეთი აქსესუარი თვითგამოხატვის ერთგვარ საშუალებად იქცა და, ამასთანავე, მან სამკაულის ფუნქციაც შეიძინა. უნდა ავდნიშნოთ რომ ამგვარათ სხეულის შემკობა ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სულაც არ არის, რადგან ამ პროცედურას შესაძლოა გართულებები მოჰყვეს.

ტექსტის გადაწერა აუცილებელია. ზოგჯერ აბიტურიენტები მხოლოდ არასწორ ფორმებს იწერენ და გვერდით გასწორებულ ვარიანტს უწერენ. ეს არ ითვლება შესრულებულ დავალებად იმიტომ, რომ ტექსტში მხოლოდ ორთოგრაფიული ან მორფოლოგიური შეცდომები არ არის, ტექსტი მოსაწესრიგებელია ასევე პუნქტუაციის თვალსაზრისით, გასასწორებელია სტილისტური ხარვეზი, რაც ასე, მხოლოდ ერთი სიტყვის შეცვლით, არ გამოიხატება. ამიტომ, ტექსტის გადაწერა აუცილებელია. როდესაც აბიტურიენტი პასუხების ფურცელში ტესტის გასწორებულ ვარიანტს გადაიტანს, უნდა ეცადოს, თვითონ არ დაუშვას მექანიკური ან რაიმე სხვა სახის შეცდომა და არ შეცვალოს ტესტის შინაარსი. ეს დავალება 16-ქულიანია.

მეორე დავალება – არგუმენტირებული ესე 24-ქულიანია.

II არგუმენტირებული ესე (24 ქულა)

დღევანდელ ახალგაზრდობას უფრო მეტად აღელვებს სოციალური უთანასწორობის პრობლემები, ვიდრე მის წინა თაობას.
არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.
ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.
გათვალისწინეთ:
ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.
ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 120 სიტყვას</u>, ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

აქ მოცემულია გარკვეული თვალსაზრისი რომელიმე მნიშვნელოვანი პრობლემის ირგვლივ და აბიტურიენტმა, ამასთან დაკავშირებით, უნდა ჩამოაყალიბოს მოსაზრება. არის, მაგალითად, ასეთი საკითხი – *ტექნოლოგიური საშუალებებით გადატვირთული გარემო ზღუდავს ადამიანის წარმოსახვას, უკარგავს მას ძიებისა და ახლის აღმოჩენის სურვილს;* ან ასეთი – *დღევანდელი ახალგაზრდები არა მარტო თავიანთ კეთილდღეობაზე ზრუნავენ, არამედ სამყაროს უკეთესით შეცვლისკენ მიისწრაფვიან.* აი, ასეთი არგუმენტირებული ესეს თემა არის შემოთავაზებული და აბიტურიენტებმა უნდა გამოთქვან თავიანთი შეხედულებები.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათი მსჯელობა იყოს თანმიმდევრული, ლოგიკური და არგუმენტირებული, სათანადო მაგალითებით გამდიდრებული. ამ არგუმენტაციის დროს, შეუძლიათ, გამოიყენონ რომელიმე მხატვრული ნაწარმოები, ან ნანახი ფილმი, ან ისტორიული ამბავი, ან რომელიმე გამოჩენილი ადამიანის გამონათქვამი (ეს მათზეა დამოკიდებული), მთავარია, რომ ის წამოჭრილ პრობლემას მიესადაგებოდეს და არგუმენტად გამოდგებოდეს. აპლიკანტებმა მიზნისათვის შესაფერისი სტილი უნდა შეარჩიონ, აუცილებლად დაიცვან სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.

მესამე დავალებაა მხატვრული ტექსტის ანალიზი, რომელიც 30-ქულიანია. მოცემულია ორი მხატვრული ტექსტი: ერთი – სასწავლო პროგრამიდან და ერთი – არაპროგრამული ნაწარმოები. ამ ორი ნაწარმოებიდან მხოლოდ ერთი უნდა აარჩიონ და მოცემული მითითებების მიხედვით გააანალიზონ. ამ ორი ნაწარმოებიდან, შეიძლება, ერთი პოეტური იყოს, მეორე – პროზაული, ან ორივე პროზაული იყოს და აბიტურიენტი აარჩევს მისთვის სასურველს და მოცემული სამი მითითების მიხედვით გააანალიზებს ამ ტექსტებს.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.
წერით დავალებას თან ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.
ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.
ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტის პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.
ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.
გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომლის მოცულობა *<u>არ აღემატება 120 სიტყვას</u>*, ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:
- იმსჯელეთ ავთანდილის მხატვრული სახის შესახებ მოცემული ტექსტის მიხედვით;
- იმსჯელეთ შერმადინის მხატვრული სახის შესახებ მოცემული ტექსტის მიხედვით;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

მნიშვნელოვანია გაითვალისწინონ, რომ მათი თხზულება არ უნდა იყოს მოცემული ტექსტის შინაარსის გადმოცემა, პერიფრაზი. როგორ კარგადაც არ უნდა იყოს შესრულებული ეს პერიფრაზი, უშეცდომოდაც, მაინც არ დაიწერება ქულა იმიტომ, რომ დავალება მიზნად ისახავს წაკითხული ტექსტის გააზრებას, რაც გულისხმობს მსჯელობას, დასაბუთებას, არგუმენტების წარმოდგენას და არა მოცემული ტექსტის პერიფრაზს.

ეს სამი მითითება, რომელიც მხატვრული ტექსტის ანალიზის დავალებაშია, დაახლოებით, ამ სახისაა – იმსჯელეთ პერსონაჟის მხტვრული სახის შესახებ, იმსჯელეთ ავტორის მთავარი სათქმელის შესახებ, იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ. ამ ბოლო დავალებას რაც შეეხება, ზოგჯერ აბიტურიენტები პირდაპირ იწერენ შედარებებს, ეპითეტებს, ანუ წერენ, რომ ტექსტში მწერალმა გამოიყენა შედარებები, ეპითეტები, მეტაფორები... ეს, რა თქმა უნდა, არ არის პასუხი მოცემულ მითითებაზე. უნდა მოიყვანონ სათანადო ილუსტრაციები და კიდევ იმსჯელონ იმაზე, თუ რისი ჩვენება სურდა მწერალს ამ მხატვრული საშუალებებით, ანუ ტროპული საშუალებებით, რას გამოხატავს ესა თუ ის ტროპული სახე. ასევე, ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ნაშრომი არ იყოს 120 სიტყვაზე ნაკლები. თუ ასე მოხდება, მაშინ ის ენობრივად აღარ გასწორდება. თქვენ იცით, რომ ნაშრომები სწორდება კრიტერიუმების მიხედვით, რომელთაგან რამდენიმე ნაშრომის ენობრივ მხარეს ეხება და თუ აბიტურიენტის თხზულება იქნება ძალიან მოკლე, მაშინ ეს ნაშრომი, ენობრივი მხარის კრიტერიუმებით, არ გასწორდება. ასე რომ, ეცადეთ, არ შემოიზღუდოთ, მაგრამ ტექსტი არც იმდენად ვრცელი იყოს, რომ პასუხების ფურცელზე არ დაეტიოს. ჩვენი თხოვნაა, რომ აბიტურიენტებმა წინასწარ განსაზღვრონ თავიანთი სათქმელი ისე, რომ მათი ტექსტი გამოყოფილ ადგილას დაეტიოს.

ჩვენ ვისაუბრეთ ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე, რაც შეეხება ქართული ლიტერატურის გამოცდას, ის 70-ქულიანია, ანუ მაქსიმალური ქულაა 70 და ორი ნაწილისაგან შედგება – პირველი ამოწმებს იმას, თუ რამდენად კარგად იცის აბიტურიენტმა საპროგრამო მასალა, პროგრამით გათვალისწინებული მხატვრული ტექსტები, რამდენად კარგად აქვს მას გააზრებული ეს ტექსტები, რამდენად კარგად ახსოვს ნაწარმოების სიუჟეტი, ამა თუ იმ ეპიზოდის შინაარსი, რამდენად კარგად შეუძლია განსაზღვროს გმირის ქცევის მოტივაცია ამა თუ იმ ეპიზოდის მიხედვით, შეიძლება ისიც იყოს გასათვალისწინებელი, ესა თუ ის ავტორი რომელი ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენელია და ა.შ.

I. ქართული ლიტერატურა

(1) 1. ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „შუშანიკის წამება“ შუშანიკი ეუბნება იაკობ ხუცესს:
„ხოლო უკუეთუ შემკრას და მითრიოს, მიხარის, რამეთუ მით სახითა იყოს განჩინებაი ჩემი მისგან“.
რატომ უხარია შუშანიკს, რომ ვარსქენი ტანჯვას მიაყენებს?

(6) 4. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი ავთანდილი უცხო მოვმის საძებნელად გაემგზავრა:

1. ვისი დავალებით მიდის ავთანდილი ტარიელის მოსაძებნად?
2. რას ნიშანავს ავთანდილის სიტყვები: *„მე შერმადინ დამიგდია, ჩემად კერძად პატრონობდეს“?*
3. რის თქმა სურს ავთანდილს სიტყვებით: *„ღმერთო, სამართალნი შენნი ჩემთვის რად ამრუდენ“?*
4. რა უამბო ავთანდილს ორმა ხატაელმა, რომლებსაც მძიმედ დაჭრილი ძმა მოჰყავდათ?
5. რატომ არ დაენია ავთანდილი ტარიელს, რომელსაც ორი დღე-ღამის განმავლობაში შორიახლოს მისდევდა?
6. რა მიზნით დააპირა ავთანდილმა მარტოდ დარჩენილი ასმათის შეპყრობა?

ეს ნაწილი, ასე ვთქვათ, კითხვების ნაწილია, თითოეული დავალება არის 1-ქულიანი, 2-ქულიანი, 3-ქულიანი და მეტქულიანი. დავალების ნომრის გვერდით, ფრჩხილებში, მიწერილია რამდენქულიანია დავალება, რამდენია მაქსიმალური ქულა, რომელიც შეიძლება ამ დავალების სწორად შესრულებისათვის მიიღოს აბიტურიენტმა. ასე რომ, მას მოეთხოვება, გაიხსენოს ამა თუ იმ ნაწარმოების სიუჟეტი, ცალკეული ეპიზოდი და განსაზღვროს გმირის ქცევის მოტივაცია, ან გმირის ხასიათი, მას უნდა ესმოდეს თითოეული სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობა, რომელიც მოცემულ ტექსტშია წარმოდგენილი.

ამ კითხვების შემდეგ, არის მხატვრულ ტექსტთა შედარებითი ანალიზი. ეს დავალება 30-ქულიანია. წარმოდგენილია ორი ნაწარმოები, რომელთაგან ერთი შეიძლება ქართველი მწერლის იყოს და მეორე – უცხოელი მწერლის, ან შეიძლება ორივე ქართველი მწერლების ნაწარმოებებიდან იყოს ვრცელი ამონარიდები. აბიტურიენტს ევალება, გააანალიზოს, რა პრობლემაა დასმული ამ ნაწარმოებებში, რა აერთიანებთ მათ ან რა განასხვავებთ, რა არის ავტორის სათქმელი ერთი ნაწარმოების მიხედვით და მეორე ნაწარმოების მიხედვით, როგორია პერსონაჟთა ქცევის მოტივაცია, როგორია მათი ხასიათი და ასევე, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი მიზნის მისაღწევად – აი, ამაზე უნდა იმსჯელოს აბიტურიენტმა და ეს მსჯელობა უნდა იყოს დასაბუთებული, არგუმენტირებული, ნათელი, უნდა მოვერიდოთ ფუჭსიტყვაობას და ვეცადოთ, განვსაზღვროთ ჩვენი სათქმელი ისე, რომ არ იყოს ძალიან ვრცელი, დაეტიოს ამისათვის გამოყოფილ პასუხების ფურცელზე და ამავე დროს, არ იყოს დაუსაბუთებელი. აბიტურიენტს, რა თქმა უნდა, შეიძლება ამ დროს სხვა რომელიმე მხატვრული ნაწარმოები გაახსენდეს და ციტატის მოხმობა დასჭირდეს ან სიუჟეტის გახსენება, მაგრამ მთავარია, ეს ყველაფერი დასმულ პრობლემასთან იყოს დაკავშირებული და არ გადაუხვიოს სათქმელს.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.
წერით დავალებას თან ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.
ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.
ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტები მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტების პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.
ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.
გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომლის მოცულობა *<u>არ აღემატება 120 სიტყვას</u>*, ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:
- იმსჯელეთ ჭაბუა ამირეჯიბის ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ერიკ-ემანუელ შმიტის ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ამ ტექსტების მსგავსება-განსხვავების შესახებ (ყურადღება მიაქციეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებენ ავტორები).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

როგორც მოგახსენეთ, წერით დავალებას სამი მითითება ახლავს და ეს მითითებები ისე უნდა შესრულდეს, რომ თხზულება, აზრობრივად, ერთიანი და მთლიანი გამოვიდეს. თვალსაზრისი ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, მკაფიოდ და დასაბუთებულად, მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკური და გამართული, უნდა დაიცვან სალიტერატურო ენის ნორმები. თუ ტექსტი მხოლოდ წარმოდგენილი ნაწარმოებების პერიფრაზი იქნება, ის არ გასწორდება, რამდენად კარგადაც არ უნდა იყოს შესრულებული, რადგან ეს დავალებაც სწორედ ანალიზს გულისხმობს და არა პერიფრაზის გადმოცემას. მხატვრულ საშუალებებზე მსჯელობისას, უნდა დაიმოწმონ სათანადო მაგალითები, მოიყვანონ სათანადო ნიმუშები და აღნიშნონ ასევე, რისთვის დასჭირდა მწერალს ამა თუ იმ ტროპული საშუალების გამოყენება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ნაწერი უნდა იყოს გარკვეული კალიგრაფიით, არ უნდა იყოს ძნელად გასაგები. ის მონაკვეთი, რომელსაც გამსწორებელი ვერ წაიკითხავს, თხზულების შეფასებისას, მხედველობაში არ იქნება მიღებული.

უნდა მოგახსენოთ, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფმა აბიტურიენტებისთვის მოამზადა ელექტრონული ჟურნალები – როგორ უნდა მოვემზადოთ ეროვნული გამოცდებისათვის. ეს ჟურნალები შეფასებისა და გამოცდების ცენტრის ვებგვერდზე დევს და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია ნახოს დავალებების ნიმუშები, დაწვრილებით გაეცნოს იმ კრიტერიუმებს, რომლებითაც სწორდება ეს დავალებები და სხვა საინტერესო დეტალებს.

შეხვედრები პანკისში

უნიკალური შესაძლებლობა, მოუსმინო ადგილობრივ თემს – მშობლებს, ბავშვებს, ახალგაზრდებს

პანკისის ხეობაში გაეროს ბავშვთა ფონდის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საელჩოების წარმომადგენლების ვიზიტის ფარგლებში ბევრი აქტივობა განხორციელდა:

✔ გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში ღასან ხალილი და ნორვეგიის საელჩოს მისიის თავმჯდომარის მოადგილე მარკო სოლდიჩი პანკისის ხეობის სკოლის წარმომადგენლებს შეხვდნენ და ბავშვებისათვის საგანმანათლებლო რესურსები გადასცეს. მსგავსი რესურსები ასევე გადაეცემა 25 სკოლას საქართველოს მასშტაბით.

გაეროს ბავშვთა ფონდი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო სისტემის ხარისხის ამაღლებასა და ინკლუზიურობის გაზრდას.

✔ პანკისის ხეობის სკოლების მასწავლებლებისთვის და დირექციის წევრებისთვის საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, ესტონეთის მთავრობისა და გაეროს ბავშვთა ფონდის პარტნიორული საგანმანათლებლო პროექტის გაცნობითი სემინარი გაიმართა.

პროექტის მიზანია სწავლა-სწავლების მეთოდით მასწავლებლების გადამზადება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ბავშვზე ორიენტირებული განათლების სისტემის შექმნას.

სემინარის ბოლოს გაეროს ბავშვთა ფონდის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საელჩოების წარმომადგენლებმა მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს.

✔ სოფელ დუისში, გაეროს ბავშვთა ფონდისა და მედიის განვითარების ფონდის ორგანიზებით, ახალგაზრდებისთვის მედიაწიგნიერების სემინარი გაიმართა. სემინარის მიზანია, ახალგაზრდებმა გამოიმუშაონ უნარები, რომელიც დაეხმარება მათ ინფორმაციის სანდოობის შეფასებასა და კრიტიკულ გააზრებაში. მედიაწიგნიერება 21-ე საუკუნის კომპეტენციაა და გაეროს ბავშვთა ფონდი თვლის, რომ ეს უნარები სასიცოცხლოდ აუცილებელია ბავშვების განვითარებისთვის

გაეროს ბავშვთა ფონდისა და საელჩოების წარმომადგენლებმა სემინარის მონაწილეებს მედიაწიგნიერების და დეზინფორმაციასთან ბრძოლის შესახებ თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს.

✔ ქრისტი მახარაძე და ანა ენუქიძე – ჯანმრთელობის ახალგაზრდა ელჩები თანატოლებს შეხვდნენ და კიბერ ბულინგზე ესაუბრნენ.

„ეს შეხვედრა ძალიან დიდი გამოცდილების მომცემი იყო ჩემთვის და, ამავდროულად, იმ აუდიტორიისთვის, ვისთანაც ვისაუბრეთ. კიბერ ბულინგი დიდი საფრთხეა თითოეული ადამიანისთვის და უნდა ვიცოდეთ, როგორ დავიცვათ ამ დროს თავი“ – ამბობს ქრისტი მახარაძე

„ჩვენი შეხვედრა ძალიან სენსიტიური იყო, საკმაოდ ჩართული იყო აუდიტორია, მით უმეტეს რომ ეს თემა ჩვენს ასაკში უფრო საშიშია“ – თქვა ანა ენუქიძემ.

შეხვედრა პროექტის „ჯანმრთელობის ახალგაზრდა ელჩები“ ფარგლებში ჩატარდა, რომელსაც საქართველოს გაეროს ასოციაცია ახორციელებს, გაეროს ბავშვთა ფონდისა და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით.

✔ გაეროს ბავშვთა ფონდის და არასამთავრობო ორგანიზაციის „მშობლები განათლებისთვის“ ორგანიზებით და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით, მშობლებისთვის ინტერაქტიული სემინარი გაიმართა პოზიტიური მშობლობის შესახებ.

სემინარს ფსიქოლოგი ზანდა ჩეჩელაშვილი უძღვებოდა, რომელმაც სესიის დასასრულს მშობლების კითხვებს უპასუხა და პრაქტიკული რჩევები გაუზიარა.

მონაწილეებს გაეროს ბავშვთა ფონდის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საელჩოების წარმომადგენლები მიესალმნენ.

✔ სტუმრებმა სოფელ დუისში მთა „დაბალგორა“ მოინახულეს. უხუცესთა და ქალთა საბჭოების წარმომადგენლები – ზაურ გუმაშვილი და ნაზი ბორჩაშვილი – მათ ქისტების თემის, პანკისის ისტორიისა და კულტურის შესახებ ესაუბრნენ.

✔ ბავშვთა ფონდის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საელჩოების წარმომადგენლები პანკისის ხეობის სოფელ დუისში რელიგიურ ლიდერებსაც შეხვდნენ და მათთან ჩვეულებითი სამართლის შესახებ, ასევე ახალგაზრდების სიტუაციასა და პერსპექტივებზე ისაუბრეს.

❖ ❖ ❖

გაეროს ბავშვთა ფონდის ევროპისა და აღმოსავლეთ აზიის რეგიონალური დირექტორმა აფშან ხანმა პანკისის ხეობაში ვიზიტის შეფასებისას აღნიშნა, რომ მისთვის ძალიან სასიამოვნო იყო იქ ყოფნა, რადგან ეს მისი პირველი სტუმრობა იყო პანკისში.

„ეს იყო უნიკალური შესაძლებლობა, მოგვესმინა ადგილობრივი თემისთვის, მშობლებისთვის, ბავშვებისთვის, ახალგაზრდებისთვის და მათთვის აქტუალურ თემებზე, წუხილებზე, ოცნებებსა და გეგმებზე გვესაუბრა. ვნახე, რომ გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს გუნდი ესაუბრება ადგილობრივ თემს, ესმის მათი საჭიროებები. ეს ვიზიტი, რომელშიც 13 ელჩი მონაწილეობდა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, ქმნის პოტენციალს, რომ დააახლოვოს საერთაშორისო საზოგადოება და პანკისის თემი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში გვქონდეს სრული ინკლუზია ყველა ბავშვისთვის და თითოეულ ბავშვს ჰონდეს თანაბარი შესაძლებლობები.

პანკისში ვიზიტი ნაწილია იმ სტრატეგიის, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდს საქართველოში აქვს ინკლუზიური განათლების, ინკლუზიური მხარდაჭერის, ინკლუზიური მშობლობის მიმართულებით, რათა თითოეულმა ბავშვმა საქართველოში მიაღწიოს სრულ პოტენციალს.

ჩემთვის საამაყოა, რომ ვარ ამ გამოცდილების მონაწილე და გავაზიარებ გაეროს ბავშვთა ფონდის ამ სტრატეგიას მთელ რეგიონში. ეს არის გაგრძელება იმ სამუშაოსი, რაც ჩვენ, ორი წლის წინ, ათენში დავიწყეთ. ვმუშაობთ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ერთიანი და ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავებაზე, რომ თითოეული ბავშვის სრული საჭიროებები დაკმაყოფილდეს. წარმატებები საქართველოს გუნდს!“

საგანმანათლებლო ლიდერი

საგანმანათლებლო ლიდერი კოლეგებისთვის მაგალითი უნდა იყოს და არა მხოლოდ „მოწოდებების“ გამცემი

სედა ნახაპეტიანი
სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალთბილის საჯარო სკოლის დირექტორი

სკოლის დირექტორი – რას მოითხოვს მისგან სახელმწიფო, საზოგადოება

სკოლის დირექტორი უნდა იყოს სახელმწიფოებრივ საქმეში აქტიურად ჩართული პიროვნება, უნდა ჰქონდეს თანამშრომლობითი და შემოქმედებითი უნარები. ამავდროულად, უნდა იყოს ლიდერი, განათლებული და პასუხისმგებელი, რადგან სკოლის დირექტორობა, პირველ რიგში, უდიდესი პასუხისმგებლობაა მომავალი თაობის განათლებისათვის, მათი სწორი აღზრდა-განვითარებისათვის, სკოლაში უსაფრთხო ფიზიკური და ფსიქოლოგიური გარემოს ჩამოყალიბებისათვის. ეს არის პოზიცია, რომელსაც აქვს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის ღირსეული მომავლის ფორმირებაში და ეს მხოლოდ მოთხოვნა კი არ უნდა იყოს სახელმწიფოს, საზოგადოების ან სასკოლო თემის მხრიდან, არამედ თავად დირექტორის მიერ გააზრებული და გაზიარებული პასუხისმგებლობა ერის წინაშე.

საგანმანათლებლო ლიდერი

სკოლის დირექტორი უნდა იყოს ლიდერი და კარგი მენეჯერი, რადგან ამ უნარების განვითარებითა და გამოყენებით შეუძლია სკოლა წინ წაიყვანოს და განათლებული თაობა აღზარდოს. ამავდროულად, საგანმანათლებლო ლიდერობა თავისთავად გულისხმობს საგანმანათლებლო სივრცისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების სრულყოფილად ფლობას, რათა სწავლა-სწავლების პროცესში თავად იყოს მაგალითის მიმცემი და „გზამკვლევი“ კოლეგებისთვის და არა მხოლოდ „მოწოდებების“ ავტორი, ამა თუ იმ აქტივობის შესაბამისი ხარისხით შესრულებისკენ. სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღიარებაც და პატივისცემაც მხოლოდ ასეთი მიდგომის შედეგია.

სკოლის ხარისხი – ძირითადი ელემენტები

სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხი დამოკიდებულია ბევრ სხვადასხვა ფაქტორზე. მაგალითად ისეთებზე, როგორიცაა: მასწავლებლების პროფესიონალიზმი, მშობელთა აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა ინტერესები და მაღალი მოტივაცია. ჩემი პირადი პრაქტიკიდან გამომდინარე კი, თამამად შემიძლია იმის თქმა, რომ დირექტორი-მასწავლებელი-მშობელი-მოსწავლე უწყვეტი ჯაჭვია და წარმატების მიღწევაც მათი ერთობლივი მუშაობის შედეგია.

როგორ აისახება კონკრეტული სკოლის სასწავლო მოდელი მოსწავლეების შედეგებზე

როგორც აღვნიშნე, სკოლის როლი მოზარდის განვითარებასა და განათლებაში უმნიშვნელოვანესია. ოჯახის შემდეგ სწორედ სკოლას აკისრია პასუხისმგებლობა თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და ცხოვრებისეული გამოწვევებისათვის მომზადებაში.

სკოლის მთავარი მისია და გამოწვევა

„ახალი სკოლის მოდელი“, ვფიქრობ, სწორედ ის მიმართულებაა, რაც ქართულ საგანმანათლებლო სისტემას კიდევ უფრო ეფექტურსა და ეფექტიანს გახდის, იგი სკოლაში მიღებული ცოდნის ტრანსფერს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს, რაც ათეულობით წელია სისტემის გამოწვევად რჩება.

წარმატებული სკოლა

წარმატებული სკოლისთვის აუცილებელია: პროფესიონალი მასწავლებელი, რომელიც მუდმივად ზრუნავს საკუთარ კარიერულ წინსვლასა და პროფესიულ განვითარებაზე; აქტიური მშობელი, რომელიც მზადაა მიიღოს რჩევები შვილის განათლება-განვითარებასთან დაკავშირებით და დაეხმაროს მას ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრაში; დირექტორი, ამ უწყვეტი ჯაჭვის ლიდერი, რომელიც მაქსიმალურად ობიექტურად მართავს სკოლაში მიმდინარე პროცესებს.

გუნდური მუშაობის როლი

გუნდურობა ორგანიზაციაში, ჯანსაღი კომუნიკაცია და თანამშრომლობა, ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზე დაფუძნებული სამუშაო გარემო არის წარმატებისა და წინსვლის უპირობო გარანტი. სკოლა, სადაც ანგარიშვალდებულების სისტემა გამჭვირვალეა, უფლებამოსილების დელეგირება და გადანაწილება კი – მიუკერძოებელი და ობიექტური, სადაც თითოეული რგოლი გაერთიანებულია საერთო საქმის და იდეის ირგვლივ, იდება საუკეთესო შედეგები. ჩვენც მუდმივად ვცდილობთ, ყველა ამ პრინციპის დაცვით ვმართოთ სკოლა და სკოლაში მიმდინარე პროცესები. ხარისხის მართვის ჯგუფი კი, თავის მხრივ, ცდილობს, მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების გზით, მოახდინოს მათი საჭიროების დროული იდენტიფიცირება და ეფექტიანი დახმარება/უკუკავშირი.

რა ხელშეწყობა სჭირდება დღეს სკოლის დირექტორს

ამ ეტაპზე დირექტორებს სჭირდებათ უფრო მეტი უფლებები და თავისუფლებები.

ახალი სტანდარტი

საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტი განსაზღვრავს საჯარო სკოლის დირექტორის ცოდნას და უნარებს, პროფესიულ ფასეულობებსა და პასუხისმგებლობებს. სტანდარტი შეიცავს საჯარო სკოლის ხელმძღვანელისათვის საჭირო აუცილებელ კომპეტენციებს. სტანდარტის ძირითადი მიმართულებებია – განათლების მართვა, სასწავლო პროცესის მართვა და ანგარიშვალდებულება, თვითგანვითარება, აგრეთვე პერსონალის პროფესიული განვითარება და ბოლოს, საზოგადოებასთან, ინსტიტუტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა.

როგორ შეარჩიოს სკოლამ დირექტორი

ვფიქრობ, სერტიფიცირების პროცესი ისედაც გამართულად არის დაგეგმილი ჩვენს სისტემაში: სკოლა/სკოლის წარმომადგენლობა არჩევნების გზით აკეთებს არჩევანს იმ კანდიდატებს შორის, რომლებმაც ცენტრალიზებული გამოცდის გზით უკვე დააკმაყოფილეს მოთხოვნილი კომპეტენცია.

სწავლების მეთოდი

როგორ გამოვიყენოთ ჯგუფური მუშაობა კომუნიკაციისა და თანამშრომლობითი უნარების განვითარებისთვის

სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია თანამშრომლობის უნარის განვითარება. ადამიანებს, რომლებსაც შესწევთ ჯგუფში მუშაობის უნარი, შეუძლიათ საკითხის გააზრება და მკაფიოდ ჩამოყალიბება, სხვისი მოსმენა, ჯგუფის წევრებთან შეთანხმება, მათი შესაძლებლობების ადეკვატურად შეფასება და ჯგუფში კონფლიქტური სიტუაციების მკვიდრდებიან სხვადასხვა სოციალურ რეალობაში. კომუნიკაციის და თანამშრომლობის უნარი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის განვითარებაში. თანამედროვე განათლების მიზანი არა მხოლოდ ცოდნის, ფაქტობრივი ინფორმაციის დაგროვება, არამედ მიღებული ინფორმაციის ანალიზის, კრიტიკული შეფასების უნარის განვითარებაა. სკოლაში გამომუშავებული კომუნიკაციის და თანამშრომლობის უნარები აუმჯობესებს სასწავლო პროცესსა და მის შედეგებს, ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგების წარმატებით მიღწევას. ბავშვები სწავლობენ ერთმანეთისგან მაგალითით და არა სახელმძღვანელოდან. ისინი სწავლობენ მოქმედებაში, როცა თანამშრომლობენ.

მოსწავლეთა შორის კომუნიკაციის და თანამშრომლობის უნარის გასავითარებლად მნიშვნელოვანია კლასის ორგანიზების ისეთი ფორმის გამოყენება, როგორიცაა **ჯგუფური მუშაობა**. ერთად მუშაობისას ბავშვები ეცნობიან ახალ ინფორმაციას, აანალიზებენ, უსმენენ განსხვავებულ აზრებს, ერთად ეძებენ და პოულობენ პრობლემის გადაჭრის გზებს, სწავლობენ ერთად მუშაობას, ამყღავნებენ ურთიერთპატივისცემას, აღწევენ შეთანხმებას, აკეთებენ დასკვნებს და შეფასებებს. მოსწავლეებს, რომლებსაც შესწევთ ჯგუფში მუშაობის უნარი, შეუძლიათ საკითხის გააზრება და მკაფიოდ ჩამოყალიბება, სხვისი მოსმენა, ჯგუფის წევრებთან შეთანხმება, მათი შესაძლებლობების ადეკვატურად შეფასება და ჯგუფში კონფლიქტური სიტუაციების მართვა, წარმატებული არიან სხვადასხვა სოციალურ რეალობაში. შეუძლებელია მოსწავლემ ეს ყველაფერი შეძლოს, თუ მას არ ექნება განვითარებული კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევები. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი სასკოლო გარემოში ჯგუფური მუშაობა.

სასწავლო წლის დასაწყისში, მოსწავლეებთან ერთად, შემუშავდება ჯგუფში მუშაობის ქცევის წესები, რომლებსაც მოსწავლეები მთელი წლის განმავლობაში ასრულებენ. ჯგუფური მუშაობის დავალებები და მიზანი მასწავლებელმა მოსწავლეთა საჭიროებებს უნდა მოარგოს, ასევე, გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები, ემოციური მდგომარეობა; შექმნას ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული სასწავლო გარემო; პირადად ითანამშრომლოს მოსწავლეებთან და ეცადოს თავისი ქცევებით მისცეს მაგალითი.

ჯგუფური მუშაობისთვის კლასის მომზადებისას მოსწავლეები შეიძლება დაჯგუფდნენ წყვილებად, ტრიადებად, მცირე (4-5-კაციან) და დიდ (6 და მეტ კაციან) ჯგუფებად. წყვილები ყველაზე მოსახერხებელია დაბალ კლასებში მუშაობისას, ან ისეთ მოსწავლეებთან, რომლებიც მორცხვობენ, ან არა აქვთ თანატოლებთან თანამშრომლობის გზით ამოცანების გადაჭრის გამოცდილება. საწყის ეტაპზე, სასურველია, ეს ფორმა გამოვიყენოთ. მასწავლებლისთვისაც შედარებით ადვილია წყვილებში მუშაობის დაგეგმვა და წარმართვა. წყვილებში მოსწავლეები ზოგჯერ იოლად ართმევენ თავს ისეთ დავალებებს, რომელთა შესრულებაც დამოუკიდებლად გაუჭირდებოდათ. მაგალითად, გადაწყვეტილების მიღებასთან, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებასთან დაკავშირებული დავალებები. წყვილებში მუშაობა უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ძლიერი მოსწავლე დაეხმაროს აკადემიურად სუსტ მოსწავლეს. ამავე დროს, მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ ერთი მოსწავლე არ დომინირებდეს მეორეზე. ტრიადები (3-კაციანი ჯგუფები) განსაკუთრებით მიზანშეწონილია, როცა ერთი მოქმედებს დანარჩენი ორის ხელმძღვანელობით, მათი სახელით. მაგალითად, მუშაობს კომპიუტერზე, ინერს მათ მიერ შეთხზულ ამბავს და ა.შ. ან კიდევ, დისკუსიისას, როცა ბავშვებს ჯერ კიდევ უჭირთ შეთანხმებამდე მისვლა, მესამე მოსწავლის აზრი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს. თუმცა ჩნდება საფრთხე, რომ უმრავლესობა გადაძლევს ერთის უფრო სწორ მოსაზრებას. მცირე ჯგუფები (4-5-კაციანი) უფრო მოსახერხებელია, რადგან აქ იშვიათია ერთი მოსწავლის დომინირება ყველა სხვაზე. ალბათ მეგობრობა გახდება განმსაზღვრელი ფაქტორი, თუ ჯგუფების შექმნას თავად ბავშვებს მივანდობთ. ამ არჩევნის დადებითი მხარე ისაა, რომ ბავშვები სიამოვნებით იმუშავებენ მათ მიერ შერჩეულ წევრებთან, ასევე იგრძნობენ პასუხისმგებლობას. მეორე მხრივ, ამგვარმა დაჯგუფებამ შეიძლება ქაოსი და არეულობა გამოიწვიოს კლასში, რადგან ნაკლებად პოპულარულ ბავშვებთან ჯგუფის შექმნას ცოტა თუ მოისურვებს. ასევე, შეიძლება მეგობრები გადაერთონ დავალების შესრულებიდან სხვა საკითხების განხილვაზე. თანაც ასეთი ნიშნით შექმნილი ჯგუფები სტაბილურია და შეიძლება ბავშვებს მთელი წლის განმავლობაში არ მიეცეთ სხვა მოსწავლეებთან მუშაობის საშუალება.

ჯგუფების შექმნისას აუცილებელია გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ცოდნის დონე. ზოგჯერ სასურველია შერეული დონის ჯგუფების შექმნა, რადგან უფრო ძლიერი მოსწავლეები

სწავლების მეთოდი

დახმარებას უწევენ, უხსნიან სუსტებს და ამ პროცესში თავადაც უკეთ გაიაზრებენ დასმულ პრობლემას. ასეთ შემთხვევაში, ექსპერტები გვირჩევენ, დავაჯგუფოთ ძლიერი მოსწავლეები საშუალო დონის ბავშვებთან და საშუალო დონის მოსწავლეები – სუსტებთან. ასე თავიდან ავიცილებთ მოსწავლეთა შორის მკვეთრ განსხვავებებს, რაც შეიძლება ბავშვების გაღიზიანების და დაძაბულობის მიზეზი გახდეს.

თუ მოსწავლეებს განსხვავებულ დავალებებს ვთავაზობთ, მაშინ მიზანშეწონილია, ერთი და იმავე დონის მოსწავლეები დავაჯგუფოთ და მივცეთ შესაბამისი სირთულის დავალება. ეს საშუალებას აძლევს მასწავლებელს, მეტი დრო დაუთმოს უფრო სუსტ მოსწავლეებს და ინდივიდუალურად იმუშაოს მათთან. თუმცა, მუდმივად ძლიერ და სუსტ მოსწავლეებად დაყოფა არ არის სასურველი, რადგან იკარგება ჯგუფური მუშაობის მთავარი უპირატესობა – ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს სხვადასხვა დონის ადამიანებთან თანამშრომლობის უნარი.

დაჯგუფების კრიტერიუმად შეიძლება გამოვიყენოთ აქტივობის ხარისხი. როცა უკვე ვიცით რომელი მოსწავლეა განსაკუთრებით აქტიური ჯგუფურ მუშაობაში და ვინ ცდილობს ამოეფაროს სხვას, მასწავლებელმა ერთად დააჯგუფოს წყნარი მოსწავლეები, სადაც ისინი ნაკლებად შეძლებენ სხვის ზურგს ამოეფარონ და სხვას მიანდონ გადაწყვეტილების მიღება. აქტიური მოსწავლეები ერთად დაჯგუფების შემთხვევაში, თანაკლასელებთან ურთიერთობისას, ნაკლებად მოახერხებენ დომინირებას და მოუწევთ დათმობებზე წასვლა.

შემთხვევითი დაჯგუფებისას მასწავლებლისთვის მოსახერხებელია დააჯგუფოს მოსწავლეები, რომლებიც ერთად ან ერთმანეთთან ახლოს სხედან. ამგვარად ჩვენ ვზოგავთ დროს, თავიდან ავიცილებთ ხმაურს და არეულობას, რაც თან ახლავს მოსწავლეთა გადაადგილებას გაკვეთილზე. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მოსწავლეები ყველა გაკვეთილზე ერთ ადგილას სხედან და ამდენად, ყოველთვის ერთსა და იმავე ჯგუფში აღმოჩნდებიან. ასე მათთვის ჯგუფური მუშაობა შეიძლება მონოტონური და უინტერესო გახდეს. შემთხვევითი დაჯგუფების ყველაზე მარტივი გზაა გათვლა, მაგალითად 1-დან 3-მდე. პირველად ამ პროცედურას საკმაო ხმაური მოჰყვება, მაგრამ რამდენიმეჯერ გამოყენების შემდეგ მიეჩვევიან და გადაადგილების პროცესი საკმაოდ სწრაფად, იოლად მიმდინარეობს.

ძალიან სასარგებლოა განვუმარტოთ მოსწავლეებს, რა მიზანს ისახავს ჯგუფური მუშაობა, რის მიღწევას შეძლებენ ისინი ამ კონკრეტული დავალების შესრულებით და რა კავშირშია ეს დავალება შესასწავლ მასალასთან. ამასთან, სასურველია, მასწავლებელი და კლასი წინასწარ შეთანხმდეს იმ წესებზე, რომლებიც უნდა დაიცვან მუშაობის პროცესში. ბავშვებმა მუშაობის დაწყებამდე უნდა იცოდნენ:

- რა დრო ეძლევათ დავალების შესასრულებლად;
- რა ევალება თითოეულ მათგანს, რადგან ზოგ შემთხვევაში როლები შეიძლება განსხვავებული იყოს;
- დასაშვებია თუ არა ხმაური;
- ჯგუფური მუშაობის რა პროდუქტი უნდა წარმოადგინონ დამთავრების შემდეგ და როგორ გვანიშნონ დასრულება;
- როგორ მოუხმონ მასწავლებელს, თუ დახმარება დასჭირდათ.

რაც უფრო ნაცნობი ხდება ჯგუფური მუშაობის ფორმა ბავშვებისთვის, მით ნაკლები პრობლემები ექმნებათ მათ. სასარგებლო იქნება თავიდან ძალიან მოკლე, მარტივი ჯგუფური დავალებების შესრულება, რაც მათ თავდაჯერებულობას და სტიმულს შემატებს, რომ შეძლებენ თავი გაართვან მოთხოვნებს. ფაქტობრივად, მცირე მოდიფიკაციის შემდეგ, ნებისმიერი დავალება შეიძლება მოერგოს ჯგუფური მუშაობის პრინციპებს. თუ დავალება საკმაოდ რთული გვეჩვენება დამოუკიდებლად მუშაობისთვის, სასურველია, ჯგუფური მუშაობისას შეასრულონ.

მასწავლებლებს აღელვებთ ის, რომ ჯგუფური მუშაობის დროს ვერ აკონტროლებენ თითოეული მოსწავლის საქმიანობას. როცა კლასში რამდენიმე ჯგუფი მუშაობს, შეუძლებელია მასწავლებელმა ყველას ერთდროულად მოუსმინოს, აღრიცხოს ყველა შეცდომა, დაეხმაროს ყველა მოსწავლეს და თავიდან აიცილოს ყველა პრობლემა. ამიტომაც არ არის გასაკვირი, ფუნქციის გარეშე დარჩენილ მასწავლებელს დაბნეულობის შეგრძნება და შეკითხვები გაუჩნდეს:

- როგორ გავიგოთ, იცის თუ არა ყველა მოსწავლემ, რა უნდა გააკეთოს; სწორი მიმართულება აირჩია თუ არა?
- რა უნდა გავაკეთოთ, რომ მოსწავლეებმა თავიანთ პირად საქმეებზე საუბარში კი არ დახარჯონ მიცემული დრო, არამედ სასწავლო მიზნებისთვის?
- როგორ გავანაწილოთ ყურადღება ჯგუფებს შორის?
- რა უნდა გავაკეთო ზედმეტი ხმაურის შემთხვევაში?

ყველა ეს პრობლემა დგას მასწავლებლის წინაშე ჯგუფური მუშაობის დროს. ამიტომ საჭიროა კარგად მოვემზადოთ და სწორად წარვმართოთ პროცესი.

კონკრეტული ჯგუფური დავალების მომზადებისას, აუცილებელია, ყველა განმარტება კონკრეტულად, რაც შეიძლება მარტივი ენით მივცეთ მოსწავლეებს. მუშაობის დაწყებამდე მათ უნდა იცოდნენ, რა დროში უნდა შეასრულონ დავალება. მასწავლებელს დამატებითი სამუშაო უნდა ჰქონდეს მოფიქრებული მათთვის, ვინც სხვებზე ადრე დაამთავრებს. ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე აუცილებელი პროცედურაა მოსწავლეთა გადაადგილება, რადგანაც შეუძლებელია მოსწავლეებმა დისკუსია გამართონ თანაკლასელებთან, რომლებიც მათთან ზურგშექცევით ან სხვა რიგში სხედან. ისინი ერთად უნდა ისხდნენ. ამ პროცესს ახლავს მოძრაობა და ხმაურიც. ხმაურის დონე კლებულობს, რაც უფრო ნაცნობი ხდება ეს პროცედურა მოსწავლეებისთვის.

ჯგუფური მუშაობისას მასწავლებლის როლი იცვლება. ახლა იგი დამკვირვებელია, რომელიც ყურადღებით ადევნებს თვალყურს ყველაფერს, რაც კლასში ხდება. იგი მერხებს შორის მოძრაობს, აკვირდება ჯგუფებს, აღნიშნავს დადებით და უარყოფით მომენტებს მათ მუშაობაში. ამ დროს გაკეთებული ჩანაწერები, შესაძლებელია, მასწავლებელმა საერთო შეცდომების განხილვისთვის, ახალი გაკვეთილების დაგეგმვისა და მოსწავლეთათვის ინდივიდუალური რჩევების მიცემისთვის გამოიყენოს. მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ მოსწავლეები კონცენტრირებული იყვნენ დავალების შესრულებაზე და არა მასწავლებელსა და მის ჩანაწერებზე. იგი არ ერევა ჯგუფური მუშაობის პროცესში, თუ ამის საჭიროება არ არსებობს. მასწავლებელი ჩაერთვება:

- თუ მოსწავლეებმა არასწორი მიმართულებით წარმართეს მუშაობა. მასწავლებელი მათ ხელახლა აძლევს ინსტრუქციებს და აძლევს რჩევებს;
- თუ მოსწავლეებს დავალების შესასრულებლად რაიმე სახის ფაქტობრივი ინფორმაცია სჭირდებათ და ვერ გაიხსენეს, მასწავლებელმა ან თავად უნდა ჩამოაყალიბოს, ან მიანიშნოს სად მოიპოვონ საჭირო ინფორმაცია;
- თუ საჭიროა რომელიმე ჯგუფის წახალისება ან გააქტიურება, მასწავლებელი ჩაერთვება მის მუშაობაში, როგორც ერთ-ერთი წევრი;
- თუ რომელიმე ჯგუფს განსაკუთრებით უჭირს ან სუსტი მოსწავლეებითაა დაკომპლექტებული, მასწავლებელმა შეიძლება მმეტი დრო დაუთმოს და ინდივიდუალურად იმუშაოს მათთან. მიუხედავად ამისა, რომელიმე ჯგუფის უგულებელყოფა არ არის გამართლებული.

როცა მასწავლებელი რწმუნდება, რომ ყველა ჯგუფი ჩართულია დავალების შესრულებაში, დროებით შეუძლია პასიური როლი აირჩიოს. ის იკავებს იმ ადგილს, საიდანაც მთელ კლასს ხედავს და აკონტროლებს მათ მუშაობას. ხმაურის შემთხვევაში, მასწავლებლის მიახლოება და ჩურჩულით მიცემული შენიშვნა საკმარისი აღმოჩნდება, რომ მოსწავლეებმა ხმას დაუწიონ.

ჯგუფური მუშაობა წყდება დათქმულ დროს ან მაშინ, როცა ჯგუფების უმრავლესობას მზად აქვს საბოლოო შედეგი. ზოგადად, უმჯობესია მოსწავლეები შევაჩეროთ მაშინ, როცა ისინი ჯერ კიდევ სიამოვნებით ასრულებენ დავალებას. თუ ჩვენ დაველოდებით, სანამ ბოლო ჯგუფიც დაასრულებს, ეს ნიშნავს, რომ კლასის დანარჩენი ნაწილი ამ დროს არაეფექტურად იყენებს. ამიტომ, როცა მოსწავლეთა უმრავლესობა – 70% მზადაა ნამუშევრების წარსადგენად ან იკლო დავალების შესრულების ინტერესმა, მასწავლებელი გამოაცხადებს: „ბავშვებო, 3 წუთში ყველა ჯგუფი წარმოადგენს თავის ნამუშევარს“. დავალების დასრულების შემდეგ, შედეგების შეჯამება ხდება სწორი პასუხებით შეკითხვებზე, ზეპირი პრეზენტაციებით, ან მომზადებული თვალსაჩინოების გამოფენით კედელზე. მასწავლებელმა ყურადღებით, შექებით, ნამუშევრის დადებით მხარეებზე ყურადღების გამახვილებით უნდა აჩვენოს, რომ აფასებს მოსწავლეების შრომას, მონდომებას. კრიტიკული შენიშვნების ნაწილი კი მომავალ სამუშაო გეგმაში უნდა იყოს გათვალისწინებული.

თანამშრომლობითი სწავლების ერთ ერთი ცნობილი მეთოდია **სიმულაცია, ანუ როლური თამაში**, რომელიც განსაკუთრებით სახალისოს ხდის მოსწავლეთათვის სასწავლო პროცესს და მათ მაღალ სააზროვნო უნარებს უვითარებს. როლური თამაში სწავლების აქტიური ფორმაა. ამ დროს მოსწავლეები არა მხოლოდ გონებრივად, არამედ ფიზიკურადაც აქტიურები არიან. მათ საშუალება აქვთ, გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება, ემოციები, რაც აადვილებს სწავლის პროცესს და მასალის ათვისებას. მისი გამოყენებით, მოსწავლეები შეძლებენ კომუნიკაციური უნარების განვითარებას და სოციალური უნარების, ტოლერანტობისა და ემპათიის გრძნობის გამომუშავებას. სასწავლო პროცესში როლური თამაშების დადებითი ეფექტებია: მოსწავლე ყოველთვის ხალისით ერთვება თამაშში; ამჟღავნებს ინტერესსა და ენთუზიაზმს; მაშინვე იღებს უკუკავშირს. ამ მეთოდს ახლავს სირთულეებიც: მოსწავლეები, რომელთაც უჭირთ ემოციებისა და დამოკიდებულებების სხვების თანდასწრებით თავისუფლად გამოხატვა, როლური თამაშისას დისკომფორტს გრძნობენ. ამის თავიდან ასაცილებლად, მასწავლებელმა უნდა „გახსნას“ ასეთი მოსწავლე, ამისათვის ნაკლებად უნდა გამოიყენოს კრიტიკა და წაახალისოს მცირედი მცდელობისთვისაც კი. განხორციელებული აქტივობის მიზანს წარმოადგენს:

ა) საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების შეძენა;

ბ) საკუთარი თავისადმი რწმენის განმტკიცება;

მეგობრული სისტემა თანამშრომლობითი სწავლების ასევე ერთ ერთი ცნობილი მეთოდია, რომლის მეშვეობით მოსწავლეები გაკვეთილებს, საშინაო დავალებას, პრეზენტაციას ერთმანეთის დახმარებით ამზადებენ. მეგობრული სისტემის – Buddy System მეშვეობით ზარმაცი ან ინერტული მოსწავლეები, რომლებიც ნაკლებად არიან ჩართული საკლასო თუ საგაკვეთილო აქტივობებში, გამოიმუშავებენ ისეთ უნარებს, როგორიცაა პასუხისმგებლობა (Conway, 2008; Campell,2009). Buddy System-ის მიხედვით, თანამშრომლობითი სწავლების პერიოდში, ჯგუფი კომპლექტდება 2-3 მოზარდით შემდგარი წყვილისგან, რომლებიც ნებისმიერ დავალება-სამუშაოს ერთად ასრულებენ. ამასთანავე, ყველა პასუხისმგებელია შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. ამ დროს მოზარდი კლასგარეშე ინტერაქციასაც იყენებს. კერძოდ, საშინაო დავალება ვინმესთან ერთად უნდა მოამზადოს, მუდმივ კავშირში იყოს თანაკლასელებთან, თუნდაც სატელეფონო. Buddy System მეტად პოპულარული თანამშრომლობის მეთოდია დასავლურ საგანმანათლებლო სისტემაში, ხელს უწყობს თანატოლებთან პოზიტიური ურთიერთობის დამყარებას (Jackson&Campbell; 2019). ეს მეთოდი კარგად მუშაობს. მოსწავლეებს შორის ჯანსაღი, აქტიური კომუნიკაცია და თანამშრომლობა გრძელდებაა ოჯახებში. მოსწავლეები ერთად ასრულებენ საშინაო დავალებებს, უსმენენ, ეკითხებიან, უზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს, ეხმარებიან ერთმანეთს.

პედაგოგიურ პრაქტიკაში მასწავლებელმა აქტიურად უნდა გამოიყენოს **თანამშრომლობითი სწავლების მეთოდი – განმავითარებელი შეფასება, ასევე მოსწავლეთა თვითშეფასება და ურთიერთშეფასება**. შეფასება ხომ სწავლისა და სწავლების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და მასწავლებელს საშუალებას აძლევს, მიიღოს ინფორმაცია მოსწავლეების წინსვლის, მიღწევებისა და პრობლემების შესახებ. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება იმ მიზნით, რათა დაეხმარო მოსწავლეებს ამა თუ იმ უნარის დახვეწაში რჩევებით, რეკომენდაციებით თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავებით. საჭირო დროს, სხვადასხვა ფორმით გაკეთებული კომენტარების დახმარებით, მოსწავლე მუდმივად იღებს ინფორმაციას, რომელიც მას განვითარებასა და საკუთარი ცოდნის/სწავლის გაცნობიერებაში ეხმარება. ეს მეთოდი გაუბედავ მოსწავლეებს სერიოზულ დახმარებას უწევს საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. ასევე უხსნის ემოციურ დაძაბულობას მუშაობის პროცესში. განმავითარებელი შეფასება როგორც წერილობითი, ისე ზეპირი კომენტარების სახით საშუალებას აძლევს მასწავლებელს, მოსწავლეებს მისცეს კონკრეტული რჩევა, რა გამოსდით კარგად, რომელი უნარის დახვეწა და განვითარება სჭირდებათ.

განმავითარებელი კომენტარის რამდენიმე მაგალითი:

- *„მე ყურადღებით ვაკვირდებოდი თქვენს მუშაობას და შევამჩნიე, რომ შენ დიდი ყურადღებით უსმენდი მეგობარს. საინტერესო იქნებოდა, შენი აზრიც რომ გაგეზიარებინა მისთვის.“*
- *„ყოჩაღ! დღეს შენ შესანიშნავად ითანამშრომლე თანაგუნდელებთან და შეძელი მათი დახმარება. მომავალში იქნებ პრეზენტაციაც გააკეთო. ჩემი აზრით, შენ ეს ძალიან კარგად გამოგივა.“*
- *„დღეს შენ დამაჯერებლად დაიცავი შენი მოსაზრება. მომეწონა ისიც, რომ ყურადღებით უსმენდი მეგობარს, რომელსაც შენგან განსხვავებული პოზიცია ჰქონდა.“*

განმავითარებელი შეფასების სტრატეგია დაეხმარება მოსწავლეებს, დაძლიონ ემოცია, შიში, გაუბედაობა, დაინახონ როგორც საკუთარი წინსვლა, ასევე საჭიროებები და გასაუმჯობესებელი მხარეები.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით მოსწავლეებმა გააკეთონ თვითშეფასება და ურთიერთშეფასებები.

მოსწავლეებს ინტენსიურად უნდა ჩაუტარდეთ გაკვეთილები თანამშრომლობითი სწავლების მეთოდებით.

კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარება გააუმჯობესებს მათ აკადემიურ მოსწრებას. სასწავლო გარემო მოსწავლეთათვის გახდება უფრო კომფორტული, მეგობრული, საინტერესო.

თანამშრომლობითი სწავლებისას მოსწავლეებს უვითარდებათ ჯგუფური პასუხისმგებლობა, ჯგუფმა ერთად უნდა მიაღწიოს საერთო მიზანს და მისი თითოეული წევრის პასუხისმგებლობაა, საკუთარი წვლილი შეიტანოს ჯგუფის მუშაობასა და წარმატებაში. მოსწავლე კარგად აცნობიერებს, რომ მისი წარმატება ჯგუფის წარმატების სანინდარია.

ამრიგად, თანამშრომლობითი/ერთობლივი სწავლება მრავალმხრივ გავლენას ახდენს მოსწავლეზე. ესენია: აკადემიური წინსვლა, უნარ-ჩვევების გამომუშავება და ცნობიერების ამაღლება. პირველი მიღწევაა აკადემიური შედეგების გაუმჯობესება, ურთიერთობებისა და სოციალური განვითარების დახვეწა; მეორე მიღწევაა თანამშრომლობითი უნარის გამომუშავება, რომელიც მოსწავლეებში ავითარებს აზროვნების და პრობლემის გადაჭრის გზების ძიების ელემენტებს; მესამე მიღწევაა ის, რომ სხვადასხვა აკადემიური მოსწრების მოსწავლეებს ერთმანეთის მიმართ პოზიტიური განწყობა უყალიბდებათ და შეთანხმებულად მუშაობენ ჯგუფებში.

ჩავატაროთ გაკვეთილები თანამშრომლობითი სწავლების მეთოდებით.

ნანული დავითაძე
სსიპ დაბა შუახევის საჯარო სკოლის
დაწყებითი კლასების მასწავლებელი

მოზარდი და კანონი

განრიდებულ არასრულწლოვანთა ზოგადი მახასიათებლების კვლევა

კრიმინოლოგიური კვლევები ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ დაგეგმვასა და განხორციელებაში. როდესაც ცნობილია დანაშაულის გამომწვევი ძირითადი მიზეზები, მასთან ბრძოლის მექანიზმებიც იოლდება. კრიმინოლოგიური კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის პოლიტიკის სწორი დაგეგმვისთვის, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შემთხვევაში, სწორი მიდგომების განსაზღვრა დიდწილად დამოკიდებულია მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ცოდნაზე.

ინდივიდუალური შეფასებები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის მოზარდის შესახებ – ჯანმრთელობის მდგომარეობა, განვითარების დონე, ეკონომიკური და ოჯახური გარემო, სწავლა, მავნე ჩვევებზე დამოკიდებულება, თანატოლებთან ურთიერთობა და სხვ. ყველა აღნიშნული ფაქტორია გაანალიზებული „განრიდებულ არასრულწლოვანთა ზოგადი მახასიათებლების კვლევაში“, რომელიც განრიდებულ პირთა ინდივიდუალური შეფასებების საფუძველზე განხორციელდა. ანალიზში წარმოდგენილი ინფორმაციის წყარო სოციალური მუშაკების მიერ მომზადებული ინდივიდუალური შეფასებებია. კრიმინოლოგიური კვლევისთვის მონაცემები წარმოდგენილია 2019 წელს განრიდებული 437 არასრულწლოვნის შესახებ დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე.

დაზუსტებით იმის თქმა, კონკრეტულად რომელი ფაქტორი ან ფაქტორთა კომბინაცია განაპირობებს არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენას, შეუძლებელია. თუმცა, გამოყოფენ რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც გასათვალისწინებელია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა შეფასებისას – ოჯახი, სკოლა, გარემო და საზოგადოება, რომელშიც მოზარდი ცხოვრობს.

სასკოლო გარემო და აკადემიური მოსწრება დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ანტისოციალურ და დანაშაულებრივ ქცევაზე. როგორც წესი, ის არასრულწლოვნები, ვისაც დაბალი აკადემიური მოსწრება აქვთ და ნაკლებად არიან სხვადასხვა აქტივობით დაკავებული, მეტად გამოირჩევიან კანონსაწინააღმდეგო ქცევით.

ამასთანავე, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია გარემო, რომელშიც მოზარდი ცხოვრობს და ვითარდება. ნებისმიერი ხასიათის თავისებურება და სხვადასხვა მოვლენისადმი დამოკიდებულება კონკრეტულ სოციუმში ყალიბდება და, ხშირ შემთხვევაში, სოციალური კონტექსტის შედეგია. გარემოში, სადაც გავრცელებულია სიღარიბე და მოსახლეობას არ მიუწვდება ხელი ისეთ საბაზისო სიკეთეებზე, როგორიცაა ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა, სამედიცინო სერვისები და ა.შ., უფრო მეტი დანაშაულებრივი ქცევაა ახალგაზრდებში. ხშირად დანაშაული არა მათი თავისუფალი ნების, არამედ იმ შეზღუდული შესაძლებლობების შედეგია, რომელიც საზოგადოებაში არსებობს.

გეოგრაფიულ გადანაწილებას თუ გადავხედავთ, პროცენტულ ჭრილში, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა 40% თბილისზე მოდის, რეგიონებიდან ყველაზე მეტი წილი – დასავლეთის რეგიონზე, ხოლო ყველაზე დაბალი – კახეთის რეგიონზე.

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა რაოდენობა მცხოვრებთა რაოდენობასთან მიმართებით. ამ მიზნით, რეგიონებში კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა კოეფიციენტი, შესაბამისი რეგიონის მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან, ყოველ 1000 მოსახლეზე განისაზღვრა. თუ რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში იყო, რეგიონებიდან კი – დასავლეთში, ყოველ 1000 მოსახლეზე კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ყველაზე მაღალი კოეფიციენტი სამცხე ჯავახეთის რეგიონში აღინიშნა. ზოგადად, მონაცემების მიხედვით, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა კოეფიციენტი არ არის მაღალი არც მთელი ქვეყნის მასშტაბით, არც რეგიონულ ჭრილში (1000 მოსახლეზე 1 მთელსაც არ აღწევს).

✔ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებში გავრცელებული დანაშაულები

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, საინტერესოა რა სახის დანაშაულს ჩადის არასრულწლოვანი, კერძოდ რა სახის სიკეთეს ხელყოფს – საკუთრებას, ადამიანის ჯანმრთელობას, საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას თუ სხვ.



2019 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა ცხადყოფს, რომ დიდი უმრავლესობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს ჩადის, 437 არასრულწლოვნიდან 313-ს მსგავსი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა 71,6%-ს წარმოადგენს. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემდეგ, მოდის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული – 72 არასრულწლოვანი (16,5%); სატრანსპორტო, ნარკოტიკული, ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენის მაჩვენებელი 2-3%-ია, ხოლო სხვა სახის დანაშაულთა ჩადენის შემთხვევები 1%-საც არ აღწევს.

საყურადღებოა, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშულთა ძირითადი ნაწილი სავაჭრო ობიექტებშია ჩადენილი და ყველაზე ხშირად არასრულწლოვანთა მიერ ტანსაცმლის და ტკბილეულის ფარულ დაუფლებას აქვს ადგილი.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ძალადობრივი ხასიათის დანაშაულები. აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, დანის გამოყენებით, მხოლოდ 1 შემთხვევაშია ჩადენილი.

✔ დემოგრაფიული მონაცემები

გავრცელებული ტენდენციის თანახმად, მამრობითი სქესის არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული მკვეთრად აღემატება მდედრობითი სქესის არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის მაჩვენებელს, ამას 2019 წლის განრიდებულ არასრულწლოვანთა სტატისტიკაც ადასტურებს – 390 (89%) ბიჭი, 47 (11%) გოგონა.

სხვადასხვა კვლევის თანახმად, მოზარდებში დანაშაულის ჩადენის დონე 15-19 წლებში აღწევს პიკს და 20 წლისთვის მცირდება. გარდატეხის პერიოდთან ერთად, არსებობს მოზარდის სოციალიზაციის პროცესთან დაკავშირებული პრობლემები, როცა მან შეიძლება გარდატეხის ასაკში ჩაიდინოს დანაშაული, ხოლო სოციალიზაციის დასრულების შემდეგ, იგი დანაშაულს აღარ ჩაიდენს.

ანალიზში წარმოდგენილი მონაცემები არასრულწლოვანთა მიერ, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწევის შემდეგ, ჩადენილი დანაშაულის შესახებ, გვიჩვენებს ტენდენციას – დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი, ასაკის მატებასთან ერთად, მზარდია 14-დან 17 წლის ჩათვლით. 437 არასრულწლოვნიდან 84-მა დანაშული 14 წლის ასაკში ჩაიდინა, 110-მა – 15 წლის, 110-მა – 16 წლის, 133-მა კი – 17 წლის ასაკში.

✔ ოჯახური გარემო

ოჯახს მრავალი ფუნქცია-მოვალეობა აკისრია ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით. ხშირად ოჯახს უჭირს ყველა ამ ვალდებულების შესრულება, შედეგად კი კანონთან კონფლიქტში მყოფ ახალგაზრდებს ვიღებთ. ოჯახის სტრუქტურა და ფუნქციონირება, რაც მის წევრებს შორის დამოკიდებულებას გულისხმობს, ის ორი ძირითადი კატეგორიაა, რომელიც გავლენას ახდენს მოზარდის დანაშაულებრივ ქცევაზე. მნიშვნელოვანია არა მარტო მშობლებთან ურთიერთობა, არამედ ოჯახის შემადგენლობა, არასრული ოჯახის ფენომენი და ა.შ. მშობლებისა და მოზარდის ურთიერთდამოკიდებულება განსაკუთრებით საყურადღებო ფაქტორია კრიტიკულ ასაკში (15-17 წლები). არაერთმა კვლევამ აჩვენა კავშირი მშობლების უყურადღებო დამოკიდებულებასა და მოზარდთა დანაშაულებრივ ქცევას შორის. არის შემთხვევები, როდესაც კრიმინალური წარსულის მქონე ოჯახის წევრი მაგალითი ხდება არასრულწლოვნისთვის.

საკმაოდ მაღალია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი, რომელთაც ორივე მშობელი ჰყავს – 90%, მხოლოდ ერთი მშობელი ჰყავს 9%-ს, არც ერთი მშობელი არ ჰყავს 1%-ს.

კვლევებით დასტურდება, რომ დანაშაულის დონე განსაკუთრებით იმატებს დაბალი ეკონომიკური და სოციალური განვითარების სოციუმში. შესაბამისად, კრიმინოლოგიური ანალიზის სფეროში მოხვდა კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის აუცილებლობაც.

ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაანალიზების შედეგად გაირკვა, რომ არასრულწლოვანთა 50%-ს ჰქონდა ოჯახის ყველა ძირითადი საჭიროების დასაკმაყოფილებლად საკმარისი შემოსავალი, 44%-ს ჰქონდა მხოლოდ პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საკმარისი შემოსავალი, ხოლო 3%-ის შემთხვევაში პირველადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საკმარისი შემოსავალიც კი არ ჰქონდათ. იმ არასრულწლოვანთა ოჯახები, რომლებსაც შეეძლოთ ყველა დამატებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მხოლოდ 3%-ია. ზემოთ მოცემული სტატისტიკური ინფორმაცია აშკარად მიუთითებს, რომ კვლევაში მოხვედრილი 437 ბავშვის ოჯახების აბსოლუტურ უმრავლესობას შვილებისთვის მხოლოდ პირველადი და ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა აქვს, რაც შესაძლებელია, აჩენდეს გარკვეული შურის განცდას იმ თანატოლთა მიმართ, რომელთა ოჯახებიც ეკონომიკური განვითარების გაცილებით მაღალ საფეხურზე დგანან.



ძალიან დაბალია იმ ოჯახთა რაოდენობა, რომლებიც ჩართული იყვნენ სამთავრობო თუ არასამთავრობო ზრუნვის პროგრამაში. ასეთი ოჯახების რაოდენობა კანონთან კონფლიქტში მყოფი 437 არასრულწლოვნიდან მხოლოდ 9 იყო, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა 2%-ია.

✔ განათლება

ოჯახთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ისეთ ინსტიტუციებს, როგორიცაა სკოლა და სამეგობრო წრე. მნიშვნელოვანია იმის გარკვევაც რამდენად დაკავებულები არიან არასრულწლოვნები ფორმალური განათლების მიღების მიღმა და როგორ მართავენ თავისუფალ დროს.

განრიდებულ არასრულწლოვანთა 77% საჯარო სკოლაში იღებს საშუალო განათლებას. აღნიშნული მაჩვენებელი საჯარო სკოლებში პრევენციული ღონისძიებების გააქტიურების აუცილებლობაზე მიუთითებს. საკმაოდ მაღალია იმ არასრულწლოვანთა რაოდენობა, რომლებიც საერთოდ არ იღებენ განათლებას – 15%; ძალიან მცირე ნაწილი – 4% კერძო სკოლაში სწავლობს, 3%-მა უკვე გააგრძელა სწავლა განათლების უმაღლეს საფეხურზე, ხოლო 1% სწავლას პროფესიულ სასწავლებელში განაგრძობს.

იმ 422 ბავშვიდან, რომლებიც განათლებას იღებენ, საკმაოდ დაბალია კარგი აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი: მხოლოდ 34 (8%) არასრულწლოვანს ჰქონდა კარგი აკადემიური მოსწრება, 32-ს (7%) – არადამაკმაყოფილებელი, 309-ს (73%) – დამაკმაყოფილებელი; კარგი ყოფაქცევით გამოირჩეოდა 46 (11%) არასრულწლოვანი, ცუდად ხასიათდებოდა 15 (4%), 317-ის (75%) ყოფაქცევა დამაკმაყოფილებლად იქნა შეფასებული.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 3%-ს (11 არასრულწლოვანი) ჰქონდა წერა-კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც თითქოს არ არის მაღალი მაჩვენებელი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი გარემოებაა. 295 არასრულწლოვანი არანაირი დამატებითი აქტივობით არ იყო დაკავებული, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და 68%-ს შეადგენს. ამასთან, 295-დან 61 არასრულწლოვანი არც სწავლობდა. სპორტული საქმიანობით და ხელოვნებით დაკავებულია 79 (18%), რეპეტიტორთან დადის 49 (11%), სხვა სახის აქტივობებში კი (პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენა) ჩართულია 14 (3%). მაღალია იმ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი, რომელთაც სწავლის გაგრძელების მზაობა გამოთქვეს – კითხვაზე: გსურთ თუ არა სწავლის გაგრძელება, დადებითი პასუხი გასცა 348 არასრულწლოვანმა (80%).

✔ სამუშაო გამოცდილება

437 არასრულწლოვნიდან 196-ს აქვს სამუშაო გამოცდილება, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა 45%-ს წარმოადგენს. მათგან 43 არ სწავლობს, 153-ს, ანუ დასაქმებულ არასრულწლოვანთა 78%-ს, სწავლისა და სამუშაოს შეთავსება უწევს.

ანალიზის მიზნებისთვის შესწავლილი იქნა იმ ბავშვთა ოჯახური და ეკონომიკური მდგომარეობა, რომელთაც სამუშაო გამოცდილება აქვთ. აღნიშნული საინტერესო იყო იმის გასარკვევად, მოზარდებს იძულებით უწევთ გარკვეული საქმიანობის შესრულება თუ თავისუფალი დროის გადანაწილება ხდება რაციონალურად, ასევე, ხომ არ არიან ისინი მოკლებული ოჯახის მეთვალყურეობას და რა აიძულებთ დათანხმდნენ ნებისმიერი სახის სამუშაოს.

რაც შეეხება ამ ოჯახთა ეკონომიკურ მდგომარეობას, ვითარება ასეთია: 99 შემთხვევაში ოჯახის შემოსავალი საკმარისია მხოლოდ პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ხოლო 6 შემთხვევაში – არასაკმარისია პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაც კი, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ 54% შემთხვევაში ბავშვებს ოჯახის დასახმარებლად უწევთ მუშაობა; 88 შემთხვევაში ოჯახის შემოსავალი საკმარისია ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ხოლო 3 შემთხვევაში – ყველა სხვა დამატებითი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაც.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლები

✔ ჯანმრთელობის მდგომარეობა

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც შესაძლებელია დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევ ფაქტორად იქცეს, არასრულწლოვანთა ფიზიკური, გონებრივი განვითარების დონეა, მათი ფიზიკური და

მოზარდი და კანონი

ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ავადმყოფობის ან ფიზიკური ნაკლის გამო, არასრულწლოვანი შესაძლებელია დაცინვის ობიექტი გახდეს, რაც, თავის მხრივ, შეიძლება დანაშაულებრივი ქცევის მაპროვოცირებელ გარემოებას წარმოადგენდეს.

კვლევის სამიზნე 437 არასრულწლოვნიდან ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა 69-ს (16%) ჰქონდა, 368-ს (84%) ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული არანაირი პრობლემა არ აღენიშნებოდა. ზემოთ მითითებულ 69 შემთხვევაში ყველას აღენიშნებოდა სხვადასხვა სახის კლინიკური დაავადება (თირკმელთან დაკავშირებული პრობლემები, ასთმური და ალერგიული ხასიათის დაავადებები, დიაბეტი და სხვა). არც ერთ შემთხვევაში არ აღინიშნა ფიზიკურ განვითარებასთან დაკავშირებული რაიმე სახის პრობლემა.

რაც შეეხება ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, 437 არასრულწლოვნიდან ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა 13-ს (3%) აღმოაჩნდა. მათ, სხვადასხვა ფორმით, აღენიშნებოდათ აზროვნების, მეხსიერებისა და ყურადღების პრობლემები.

დესტრუქციული ქცევა დამახასიათებელი აღმოჩნდა 9 ბავშვისთვის, რომელთაგან 5 თვითდაზიანებისკენ იყო მიდრეკილი, 2 – სუიციდისკენ, 2 შემთხვევაში კი სახეზე იყო სუიციდისა და თვითდაზიანების ფაქტები ერთდროულად.

არასრულწლოვანთა გარკვეულ ნაწილს აღენიშნებოდა თვითკონტროლის უნართან დაკავშირებული პრობლემები. 13 (3%) არასრულწლოვნის მიმართ, შეფასებაში სოციალური მუშაკი ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავდა, რომ არ ჰქონდათ თვითკონტროლის უნარი; 66 (15%) არასრულწლოვნის მიმართ, სოციალურმა მუშაკმა კითხვაზე – აქვს თუ არა არასრულწლოვანს თვითკონტროლის უნარი, უპასუხა, რომ უჭირს პასუხის გაცემა, ხოლო 358-ის (82%) შემთხვევაში აღნიშნა, რომ თვითკონტროლის უნარი აქვთ.

აზროვნების, ყურადღებისა და მეხსიერების პრობლემები მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში დაფიქსირდა, კერძოდ, 437 არასრულწლოვნიდან 6-ს აღენიშნებოდა აზროვნებასთან დაკავშირებული პრობლემები, 4-ს – მეხსიერებასთან, 3-ს – ყურადღებასთან.

✔ ძალადობრივი ქმედების გამოცდილება

ძალადობა ოჯახში, სკოლასა თუ გარემოში, სადაც მოზარდი ცხოვრობს, დიდ გავლენას ახდენს ანტისოციალური ქცევის ჩამოყალიბებასა და დანაშაულის ჩადენაზე. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ, 2013 წელს, ჩატარებული კვლევის – „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“ – შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში ფართოდაა მიღებული. ყოველი მეორე ქართველი მიიჩნევს, რომ დასჯის ძალადობრივი ფორმები უფრო ქმედითია, ვიდრე არაძალადობრივი აღმზრდელობითი მეთოდები. უფრო ხშირად ქალები, ვიდრე კაცები, ფიქრობენ, რომ ბავშვის მიმართ ძალადობა დასაშვები დისციპლინური სასჯელია. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ თუ ძალადობა შეუფერხებლად ხორციელდება და კითხვებს არ იწვევს, ეს კიდევ უფრო უწყობს ხელს ძალადობის მიმართ ტოლერანტობის დონის ზრდას. შედეგად, თუ ბავშვთა მიმართ ძალადობის წილი მაღალია, კიდევ უფრო მაღალია ძალადობის მიმართ ტოლერანტობის დონე.

განრიდებულ არასრულწლოვანთა მაგალითზე, კრიმინოლოგიურმა კვლევამ აჩვენა რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა გარკვეული ნაწილი ძალადობის მსხვერპლი იყო ან თვითონ ჰქონია ძალადობრივი ქცევის გამოცდილება. 437 არასრულწლოვნიდან 372 (75%) არ ყოფილა ძალადობის მსხვერპლი, 13-ის (3%) მიმართ არსებობს ძალადობის განხორციელების ეჭვი, დანარჩენი 86-ის (20%) მიმართ კი, დასტურდება სხვადასხვა სახის ძალადობის განხორციელების ფაქტი.

რაც შეეხება თვითონ არასრულწლოვანთა მიერ განხორციელებული ძალადობის ფაქტებს – კვლევის თანახმად, 324-ს (74%) არ ჰქონდა ძალადობრივი ქცევის გამოცდილება, 9-ის (2%) მიმართ არსებობს ძალადობრივი ქცევის გამოცდილების ეჭვი, ხოლო 104-ს (24%) ჰქონდა სხვადასხვა სახის ძალადობრივი ქცევის გამოცდილება.

✔ დამოკიდებულება მავნე ჩვევებზე

როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან, ასევე ზრდასრულ პირებთან ფართოდ არის გავრცელებული ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალების მოხმარება. ანტისოციალური ქცევის ჩადენისას, უარყოფით ფაქტორად განიხილება დამოკიდებულება აზარტულ თამაშებსა და კომპიუტერულ თამაშებზე. შესაბამისად, კრიმინოლოგიური ანალიზის მიზნებისთვის შესწავლილ იქნა არასრულწლოვანთა დამოკიდებულება სხვადასხვა მავნე ჩვევებისადმი.

კვლევის შედეგებმა აჩვენა: ინდივიდუალურ შეფასებაში არსებული მონაცემების თანახმად, არასრულწლოვანთა 90%-ზე მეტს არ გააჩნია არანაირი მავნე ჩვევა, მხოლოდ 5%-ის შემთხვევაში (20 არასრულწლოვანი) გამოიკვეთა ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება, ასევე 5%-ის შემთხვევაში (20 არასრულწლოვანი) სახეზე გვქონდა ალკოჰოლურ სასმელებზე დამოკიდებულება, კომპიუტერულ თამაშებზე – 3% (14 არასრულწლოვანი) და აზარტულ თამაშებზე – მხოლოდ 1% (3 არასრულწლოვანი).

როგორც ვხედავთ, მავნე ჩვევებზე დამოკიდებულება ძალიან დაბალია, რაც მეტად ზრდის, სწორი სარეაბილიტაციო პროგრამების ფარგლებში, ვითარების გამოსწორების შესაძლებლობას და ამცირებს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკს.

✔ დამოკიდებულება თანატოლებთან და საზოგადოებასთან

თანატოლებთან დამოკიდებულების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ განრიდებულ არასრულწლოვანთა 98%-ს თანატოლებთან დადებითი ურთიერთობა აქვთ. ინდივიდუალური შეფასებების თანახმად, მხოლოდ 2-მა არასრულწლოვანმა დააფიქსირა თანატოლთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, ხოლო 5-მა – ნეიტრალური.

რაც შეეხება საზოგადოების არასრულწლოვნისადმი დამოკიდებულებას, აღნიშნული მაჩვენებელი თავად არასრულწლოვნის შეფასების საფუძველზე განისაზღვრა. განრიდებულ არასრულწლოვანთა 93% (408 არასრულწლოვანი) თვლის, რომ საზოგადოება მისდამი დადებითად არის განწყობილი, 6%-ს (27 არასრულწლოვანი) მიაჩნია, რომ საზოგადოება მის მიმართ ნეიტრალურადაა განწყობილი, მხოლოდ 1% (2 არასრულწლოვანი) ამბობს, რომ საზოგადოება მის მიმართ უარყოფითადაა განწყობილი.

✔ დანაშაულის გაცნობიერება

ის, თუ რა კუთხით უნდა წარიმართოს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთან მუშაობა, ზოგადად როგორ დაიგეგმოს პრევენციული ღონისძიებები, ბევრადაა დამოკიდებული არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის გაცნობიერებასთან. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვი იმპულსურად მოქმედებს და ვერც კი აცნობიერებს რა არის დანაშაული. ამის შესახებ ისინი თავად საუბრობენ სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში. დანაშაულის პრევენცია ბევრადაა დამოკიდებული მათთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებაზე.

დანაშაულის აღიარება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით განრიდების ერთ-ერთ სავალდებულო პირობას წარმოადგენს. ვინაიდან კვლევა განრიდებულთა მონაცემების საფუძველზე განხორციელდა, ყველა არასრულწლოვანმა, სისხლის სამართლებრივი მიზნებისთვის, აღიარა ჩადენილი დანაშაული. თუმცა, სოციალური მუშაკი, ინდივიდუალური შეფასების განხორციელებისას, შენიშნავს, რომ არასრულწლოვნებს, რიგ შემთხვევებში, უჭირთ ჩადენილი დანაშაულის გაცნობიერება. 437 განრიდებული არასრულწლოვნიდან 308, სოციალურ მუშაკთან, ჩადენილ დანაშაულს მთლიანად აღიარებს, 123 – ნაწილობრივ, ხოლო 6 – საერთოდ არ აღიარებს დანაშაულს. ერთმნიშვნელოვნად იკვეთება გაცნობიერების პრობლემა. არასრულწლოვნები, სისხლის სამართლის მიზნებისთვის, აღიარებენ და არ უარყოფენ ჩადენილ ქმედებას, მაგრამ, ვინაიდან მათი ეს ქმედება გარკვეული გარემოებებითაა ნაკარნახევი, უჭირთ გაგება რატომ უნდა აიღონ პასუხისმგებლობა შედეგზე და თავის მართლების უამრავი არგუმენტი აქვთ, რაც ვლინდება სოციალურ მუშაკთან.

კვლევას ის ძირითადი მიგნებებიც ახლავს, რაც მონაცემთა გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა, აქვეა რეკომენდაციაც: მიზანშეწონილია, კვლევას დაემატოს კიდევ ერთი კომპონენტი – კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა წარსული დანაშაულებრივი გამოცდილება, რომლის დროსაც უნდა გაანალიზდეს არა მარტო პასუხისმგებლობის ასაკს მიღწევის შემდეგ ჩადენილი ქმედებები, არამედ 14 წლამდე დანაშაულის ჩადენის შემთხვევებიც.

განრიდებულთა კატეგორიაში ის ბავშვები ექცევიან, რომელთაც, მართალია, გამოავლინეს დანაშაულებრივი ქმედებისადმი მიდრეკილება, მაგრამ მათთან მუშაობა გაცილებით მარტივია, რადგან არ არიან წარსულში ნასამართლევები, არ იყვნენ წარსულში ჩართულები განრიდება-მედიაციის პროგრამაში, მათ მიერ ჩადენილია ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულები. კრიმინოლოგიური ანალიზის სრულყოფილად განხორციელებისთვის იმ ბავშვთა მონაცემების დამუშავებაც მნიშვნელოვანია, რომლებიც სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცნენ.

მოამზადა **ლალი თვალაბეიშვილმა**

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ჩატარებული „განრიდებულ არასრულწლოვანთა ზოგადი მახასიათებლების კვლევის“ საფუძველზე

45-დღიანი სკოლაში გამოუცხადებლობა მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერების საფუძველი გახდება

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებაში ცვლილებები განხორციელდა.

ცვლილება მე-9 მუხლში ასე ჩამოყალიბდა:

მოსწავლის სტატუსის შეჩერება

1. სკოლა ვალდებულია, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეს შეუჩეროს მოსწავლის სტატუსი იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მოსწავლე, 45 სასწავლო დღის განმავლობაში, ზედიზედ, არ ცხადდება სკოლაში/არ მონაწილეობს დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში და არ იღებს შეფასებას;

ბ) მოსწავლე მიემგზავრება/გაემგზავრა საზღვარგარეთ და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლას;

გ) სკოლაში 12 წლის სწავლის შემდეგ, მოსწავლემ ვერ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე და სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე;

დ) არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/სრულწლოვანი მოსწავლე სკოლას მიმართავს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით. არასრულწლოვანი მოსწავლის სტატუსის შეჩერების გადაწყვეტილების მიღებამდე, სკოლა ვალდებულია, მოიკვლიოს და საჭიროების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალურ მუშაკთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეფერირების გზით, დაადგინოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის მიზეზები. ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი ვალდებულია, თავის მხრივ, მოიკვლიოს და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს რეფერირება შესაბამის ორგანოში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერებამდე, კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გარდა, სკოლა ვალდებულია, განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის, ზედიზედ მე-10 და მე-20 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში, კლასის დამრიგებელმა მოამზადოს წერილობითი ანგარიში მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენის მიზეზების დასადგენად და მის სასწავლო პროცესში ჩასართავად გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგის შესახებ, რომელსაც სკოლა მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს რესურსცენტრს, ხოლო ზედიზედ გაცდენილი 20 სასწავლო დღის შემდეგ, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მართვის მიზნით, კლასის დამრიგებელთან ერთად, ჩართოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მასთან რეფერირებიდან, არაუგვიანეს, 2 სამუშაო დღის განმავლობაში, ახორციელებს ვიზიტს ოჯახში, დამრიგებლის მიერ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, დასახული ღონისძიებების გაუტარებლობის მიზეზების დასადგენად და/ან მიღწეული შედეგების მდგრადობის შესაფასებლად.

3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ჩერდება მოსწავლის სტატუსი და თუ საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობა/მონაწილეობის მიუღებლობა დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში გახდა მიზეზი არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვისა, სკოლა მოქმედებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

4. მოსწავლეს ავტომატურად უჩერდება სტატუსი, თუ სკოლას უარი ეთქვა ავტორიზაციაზე, გაუუქმდა ავტორიზაცია ან გავიდა ავტორიზაციის ვადა და არ ჰყავს უფლებამონაცვლე და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, ათი სამუშაო დღის ვადაში, არ მიმართავს სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მობილობის მოთხოვნით.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მოსწავლის სტატუსის შეჩერების თაობაზე.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია, მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება ორი სამუშაო დღის ვადაში აცნობოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო ამავე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული აქტი და ინფორმაცია მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ბრძანება უკვე ძალაშია და ამოქმედდა.

ინკლუზიური განათლება

როგორ შევქმენით ხელნაკეთი წიგნი

ეკა ღვინიაშვილი
ფსიქოლოგი, სპეციალური განათლების მაგისტრი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა მასწავლებლისგან კრეატიულობასა და მრავალფეროვნებას მოითხოვს. მეც ვცდილობ, ჩემი ურთიერთობა მათთან საინტერესო გავხადო და შემეცნებითი, რა თქმა უნდა. „სწავლა კეთებით“ ერთ-ერთი ისეთი მიდგომაა, რომლის გამოყენებაც ნებისმიერ მოსწავლესთან ნაყოფიერად სრულდება.

ჯონ დიუის (1859-1952) განათლების კონცეფციის მიხედვით, განათლება უნდა ემყარებოდეს გამოცდილებას და არა ფაქტების დამახსოვრებას თუ სამსახურისთვის მოსამზადებელ წვრთნას. წარმატებული სწავლისთვის საუკეთესოა ცოდნის მიღება გამოცდილებით და სოციალური ინტერაქციით, ანუ „სწავლა კეთებით“.

შევეცდები გადმოგცეთ, როგორ დავამზადეთ მე და ჩემმა უსაყვარლესმა მოსწავლემ ხელნაკეთი წიგნი. ჩემი მიზანი იყო, კეთების პროცესში მოსწავლეს ესწავლა ახალი ტექსტის შექმნა და წიგნის სტრუქტურული ელემენტები (ყდა, თავფურცელი, გამომცემლობა, სათაური, ავტორი, ილუსტრაცია...). წიგნის გასაფორმებლად ორნამენტი დაგვჭირდა და ისიც დაუგეგმავად შემოგვესწავლა. ბოლოს კი, ეს იქნებოდა სასწავლო რესურსი, რომელიც რესურსოთახში დარჩებოდა და პატარა მოსწავლეებიც გამოიყენებდნენ.

და დავიწყეთ...

მე პირადად, ტექსტის შექმნა ყველაზე მეტად მერთულებოდა, მაგრამ რეალურს დავამატეთ ცოტა ფანტაზია და პატარა, მარტივი ზღაპარიც მზად გვქონდა, სათაურით – „ლეკუჩა“. სიმართლე გითხრათ, მე კატუნიაზე ვაპირებდი დაწერას, მაგრამ ჩემმა მოსწავლემ, მოდი, ლეკვზე დავწეროთო, მეც დავთანხმდი.

ტექსტის შემდეგ, ჯერი ილუსტრაციებზე მიდგა. შემდეგი შეხვედრისთვის ილუსტრაციების რამდენიმე ვერსია დავახვედრე მოსწავლეს და თავად აირჩია ტექსტის შესაბამისი ნახატი თითოეული გვერდისთვის.

როგორ მოვძებნოთ ინტერნეტში ჩვენთვის სასურველი ე.წ. გასაფერადებელი ნახატი? ინგლისურ ენაზე რომ უფრო ადვილად ვიპოვით ყველაფერს, ეს ამბავი ყველას მოგვეხსენება, ამიტომ, ჯერ ჩვენთვის სასურველ სიტყვას გადავთარგმნით https://translate.google.com/-ს მეშვეობით, მაგ. პატარა ძაღლი – Little dog. შემდეგ ამ სიტყვას ჩავწერთ გუგლის საძიებო ველში და დავამატებთ სიტყვას drawing (little dog drawing). ჩამოვტვირთავთ შერჩეულ სურათს, დავაკოპირებთ, გადავიტანთ ვორდის დოკუმენტში და ამოვბეჭდავთ. ვორდის დოკუმენტში გადიდება-დაპატარავება და ზედმეტი ადგილების მოჭრაც შეგვიძლია.

წიგნის შიდა ფურცლები ამ პრინციპით მოვამზადეთ, ყდა ბოლოსთვის შემოვიტოვეთ.

მუყაოს სქელი ქაღალდი სახლში ადვილად მოგვეპოვება, სკოლაშიც შეიძლება მოძიება. ეს მუყაო შეგვიძლია პირდაპირ მოვხატოთ ან ფერადი ფურცლებით გავაფორმოთ. ჩვენ ფარდის სქელი ნაჭერი გადავაკარით, ცხელი წებოს გამოყენებით. სხვათა შორის, რამდენიმე ნაჭრიდან, ჩემმა მოსწავლემ ეს კონკრეტული იმიტომ აარჩია, რომ ფუმფულა იყო და ლეკუჩასთან ასოცირდებოდა. ბოლოს ყდაც მოვარგეთ და ბანტით შევკარით.

წიგნზე მუშაობის პროცესში ჩემმა მოსწავლემ მკითხა – „შეიძლება კლასელებს ვაჩვენო?“ ეს იმას ნიშნავდა, რომ ძალიან ბედნიერი და ამაყი იყო საკუთარი მიღწევით და სხვისთვის გაზიარება მოუნდა. ჩემი ჩანაფიქრი გამართლდა...

სასკოლო აქტივობა

მშობლიური ენის სადარაჯოზე

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული, ტრადიციულად, განსაკუთრებულად აღინიშნა სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის №1 საჯარო სკოლაში. კვირეული საზეიმოდ გახსნა სკოლის დირექტორმა, ფაქიზო ფანჩულიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ 12 აპრილიდან 20 აპრილის ჩათვლით ჩვენს სკოლაში იწყებოდა ქართული ენისადმი მიძღვნილი კვირეული. პანდემიის პირობებში შედარებით მოკრძალებულად შევეცადეთ კვირეულის აქტივობების დაგეგმვას. სკოლის დირექციამ ბიბლიოთეკას, კვირეულის ფარგლებში, არაჩვეულებრივი სახელმძღვანელოები შეუძინა, რომლებიც საშურ დახმარებას გაუწევს მოსწავლეებს. კვირეულის პირველივე დღეს, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან ერთად, გამოუშვა სპეციალური კედლის გაზეთი; დაწყებითი კათედრის ჩართულობით პედაგოგებმა, ნინო ლობჯანიძემ და თეა კაკაბაძემ, კალიგრაფისტთა კონკურსში გამარჯვებული ნაწერების გამოფენა მოაწყვეს, ხოლო პედაგოგმა ლელა ჩირგაძემ IV^{ა} კლასში საზეიმო გაკვეთილი ჩაატარა, თემაზე: „ქებათა ქება ქართულ ენას“. მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები, ისაუბრეს ქართული ენის მრავალფეროვნებაზე, იმღერეს. გაკვეთილის ბოლოს, დაწერეს თხზულება „ენა ქართული დედაა ჩემი“.

13 აპრილს, დირექტორის ინიციატივითა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანიზებით, სკოლის ფოიესა და სადამრიგებლო კლასებში, შეიქმნა ენის საგუშაგოები. ამავე დღეს, ქალბატონმა ფაქიზომ მოსწავლეებს გააცნო ქართული ენის კონცეფცია, რომლის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები და მოსწავლეთა თვითმმართველობა, ასევე, შეიქმნა ქართული ენის სიწმინდისათვის მზრუნველი კლუბი. 16 აპრილს, XI^{ა} კლასში, პედაგოგმა თამარ გრიგოლიამ საჩვენებელი გაკვეთილი „ჩვენი ენა ქართული“ ჩაატარა.

კვირეულის დღეები გაალამაზა და საინტერესო გახადა ქალბატონი ფაქიზოს ინიციატივით X^{ა} და X^{ბ} კლასების ჩართულობით განხორციელებულმა დისკუსიამ თემაზე: „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“. დისკუსიაზე მოსწავლეები დამაჯერებლად, არგუმენტირებულად განიხილავდნენ ქართული ენის სიწმინდესთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემურ საკითხს.

გამორჩეული იყო დღე, როცა დირექტორის ინიციატივით, სკოლაში მოიწვიეს ქართული ენის მოყვარული მკვლევარი, ამავე სკოლის კურსდამთავრებული თორნიკე ლალიაშვილი, რომელმაც მოსწავლეებს გააცნო საინტერესო მოსაზრება თემაზე: „ქართული ასომთავრული ანბანი და კალენდარი“. ბავშვებმა დიდი ინტერესით მოისმინეს მისი მოსაზრება.

„ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, ჩატარდა შეხვედრა ფილოლოგებთან – საგნის ტრენერთან, ბელა დურგლიშვილთან და პროექტის კოორდინატორთან, ნანა კაკაძესთან.

14 აპრილს კი სკოლა განსაკუთრებით ღელავდა. ეს დღე გაალამაზეს VIII^{ა} და VIII^{ბ} კლასების მოსწავლეებმა, პატარა მსახიობებად თუ მეცნიერებად ქცეულნი ცეკვებით, სიმღერებით, ლექსებითა თუ მეცნიერული გამონათქვამებით მოესათუთნენ „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენას“ (პედაგოგი – დარეჯან ლაჭყეპიანი). ამავე დღეს, IX კლასმა, დამრიგებელთან ინგა არაბიძესთან ერთად, დედა ენის კედელთან მიახლება გადაწყვიტეს და სწორედ ძირძველი ქუთაისიდან – დედა ენის კედლიდან, იებით ხელში, მიულოცეს საქართველოს მოსახლეობას ეს მნიშვნელოვანი დღე.

უფროსკლასელებს პატარებიც არ ჩამორჩნენ, III^{მ} კლასის დამრიგებელმა, მანანა წულაიამ კლასის საათი ჩაატარა თემაზე: „დედა ენა დედასავით საფიცარი“. მოსწავლეებმა, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, ისაუბრეს დედა ენის ძეგლის გახსნაზე, აღნიშნეს, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა ენას ძეგლი დაუდგეს, მოეფერნენ ქართულ ანბანს. საოცრად შთამბეჭდავი იყო, VI^{ა} კლასის ჩართულობით, კომპლექსური დავალების პრეზენტაცია. პედაგოგ დოდო ხაჩიძის მოსწავლეებმა საინტერესოდ ისაუბრეს რუსთაველის აფორიზმებზე, არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთეს თავიანთი შეხედულებები, წარმოადგინეს ესთეტიკურად მიგნებული პოსტერები.

VI^{ა} კლასში, პედაგოგმა დარეჯან ლაჭყეპიანმა ჩაატარა საჩვენებელი გაკვეთილი თემაზე: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“... მოსწავლეებმა ისაუბრეს მაღალი ზნეობრივი ღირებულებების შესახებ, წარმოადგინეს მათთვის ღირსეული პიროვნებების ფოტოები და არგუმენტები, მათი გამორჩეულობის შესახებ.

19 აპრილს, VI-XI კლასების ჩართულობით, ქართული ენის სიწმინდისათვის, მოეწყო ესეების კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ ფაქიზო ფანჩულიძის, დოდო ხაჩიძისა და დარეჯან ლაჭყეპიანის მოსწავლეები. საინტერესო და მაღალმხატვრული ესეებით მათ მოწონება დაიმსახურეს. X-კლასელების შექმნილ პოსტერებს თუ საინფორმაციო ბარათებს, სკოლის ფოიეში გამოფენილს, უყურადღებოდ არავინ ტოვებდა.

კვირეულის დასკვნითი ნაწილი საოცრად შთამბეჭდავი იყო. ეროვნული დროშის სიმბოლიკით მორთული დარბაზი და მოსწავლეები ემოციის გარეშე არავის ტოვებდა. პედაგოგმა სალომე ქობალიამ სწორედ ამ დარბაზში ჩაატარა მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია „ენა, მამული, სარწმუნოება“. ღონისძიებაში VI^{ა} და VI^{ბ} კლასების მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

კვირეული შეაჯამა სკოლის დირექტორმა, ფაქიზო ფანჩულიძემ და ქართული ენის კვირეულში აქტიურად ჩართულ პედაგოგებსა და მოსწავლეებს საპატიო სიგელები გადასცა.

დარეჯან ლაჭყეპიანი
სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე

რეგიონი

სპორტსკოლა, სადაც ჩემპიონები იზრდებიან

ირაკლი თავაძე

დღევანდელ ქართულ სპორტში ჭიდაობას რომ უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს და ერთ-ერთი ე.წ. სტარტეგიული სპორტის სახეობაა, ამაზე საუბარი, ვფიქრობთ, უადგილოა. თუმცა თავად ეს ტერმინი – სპორტის სტრატეგიული სახეობა, რაღა დაგიმალოთ და, ძალიან უაზრო ტერმინი კი მგონია. რას ნიშნავს სტრატეგია და მოპოვებული მედლები, სპორტი ხომ ერის გაჯანსაღების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, ჯანსაღი თაობა კი რაოდენ დიდი დივიდენდია ქვეყნისთვის, 21-ე საუკუნეში ამის ახსნა არ უნდა გვჭირდებოდეს – ეს ხომ ნიშნავს ჯანდაცვაში, ანუ სოციალურ სფეროში დიდ ეკონომიას, რადგან ჯანმრთელ ადამიანს არ სჭირდება მკურნალობა, მედიკამენტი, სოციალური შელავათები და ამგვარად დაზოგილი თანხა სახელმწიფოს შეუძლია, სხვა კუთხით მიმართოს. ჯანმრთელი ადამიანი ეკონომიკაში გაცილებით მეტი შედეგების მომტანია და უმთავრესი – ჯანმრთელი ადამიანი ქვეყნის თავდაცვისუნარიან მოქალაქეს ნიშნავს, რაც ერისთვის სასიცოცხლოდ, საარსებოდ უმნიშვნელოვანესია დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკაში და ჩვენს გეოგრაფიულ არეალში...

თუმცა, დავუბრუნდეთ ისევ ჭიდაობას, სადაც ოლიმპიური სახეობები – ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილი – შევსებას თუ საიდანმე იღებენ, ეს აჭარის რეგიონიცაა, განსაკუთრებით – ბერძნულ-რომაულში, სადაც მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის, ლაშა გოგაძის (87) თავკაცობით, დღესაც ბევრი სახელოვანი მოქმედი მოჭიდავეა (არადა, გოგაძემ ტოკიოს ოლიმპიადის ლიცენზიაც მოიპოვა და ვინ იცის, წინ კიდევ რა წარმატება ელის). აჭარაში, ამ მხრივ, ბათუმ-ხელვაჩაურთან ერთად, ხულოს მუნიციპალიტეტი გამოირჩევა. იქ ადრე სპორტული სკოლა-ინტერნატი მუშაობდა და მისი აღზრდილია მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი მუხრან ვახტანგაძე. დღეს მის ადგილას სასპორტო სკოლა მუშაობს, რომელიც ახლაც დიდ საქმეს აკეთებს, თუმცა იქაურები ინტერნატის მნიშვნელობაზეც საუბრობენ. ამ თემას მომავალში აუცილებლად მივუბრუნდებით, ახლა კი, ხულოს სასპორტო სკოლაზე ვისაუბროთ, სადაც ჭიდაობის გარდა, თურმე, გუნდური სახეობები და ზამთრის სპორტიც კი ყოფილა განვითარებული. ამ სკოლის დღევანდელ რეალობაზე, გამოწვევებსა თუ მიღწევებზე გვესაუბრება ხულოს სასპორტო სკოლის დირექტორი მევლუდ წულუკიძე.

– სპორტის რომელ სახეობებს აერთიანებს თქვენი სპორტსკოლა?

– ხულოს სასპორტო სკოლაში დანერგილია ბერძნულ-რომაული და ქართული ჭიდაობა, დავიწყეთ თავისუფალი ჭიდაობაც; ასევე, გვაქვს კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ზამთრის ერთი სახეობაც – სათხილამურო სპორტი. მხოლოდ ჭიდაობაში მსოფლიოს 8 და ევროპის 15 ჩემპიონი გვყავს. ჩვენი სპორტსმენია ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ლაშა გობაძე, ამავე სახეობაში არიან ძმები – ლერი და ოთარ აბულაძეები, ფრიდონ აბულაძე და კიდევ ბევრი სხვა, ქვეყანაში თუ მის გარეთ, კარგად ცნობილი ფალავანი.

ჩვენი სპორტსმენები, თავიანთ სახეობებში, საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში შედიან სათხილამურო სპორტში, კალათბურთში და მაგიდის ჩოგბურთში. ჩოგბურთელები ახლა მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა წასულიყვნენ, მაგრამ პანდემიის გამო შეეშალათ ხელი. სკოლაში 43 თანამშრომელი გვყავს, აქედან 30 მწვრთნელია. ადრე ჩვენთან ინტერნატიც იყო, მაგრამ ახლა აღარაა, მხოლოდ სპორტსკოლაა დარჩენილი, თუმცა ეს ჯგუფები სპორტსმენებისთვის უფასოა.

– რამდენად სრულყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა?

– ამ მხრივ პრობლემები არაა – სკოლა კარგადაა აღჭურვილი, საყვედური არ გვეთქმის. ამისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ხულოს მერიას, რომელიც პატივს სცემს სპორტსმენებს – წარმატების შემთხვევაში, ფულად პრემიებსაც აძლევს და ყოველმხრივ გვერდში უდგას მათ. ასევე ძალიან გვეხმარება აჭარის სპორტის სამინისტრო და ჩვენი სახელოვანი მოჭიდავე, მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი მუხრან ვახტანგაძე, ბათუმიდან.

– რამდენი დარბაზია სპორტსკოლაში, ღია მოედნები თუ გაქვთ და რამდენად კეთილმოწყობილია ეს ბაზები?

– 6 კომპლექსური დარბაზი გვაქვს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია სპორტის სხვადასხვა სახეობებისთვის. ღია მოედანიც გვაქვს და ისიც ნორმალურ მდგომარეობაშია. თუმცა, ერთს კი ვიტყვი – ხულოს ნამდვილად ეკუთვნის ისეთი სპორტსკოლა, რომელიც შეჯიბრებებს ჩაატარებს და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებზე ქვეყნის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს მიიღებს. ხულოში იზრდებიან ისეთი სპორტსმენები, რომლებიც საქართველოს ასახელებენ უცხოეთში. ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ხულოს წარმომადგენლებმა ქულებით ყველას აჯობეს. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ეროვნულ ნაკრებში ყოველთვის დიდია ჩვენი სპორტსმენების წარმომადგენლობა. ამიტომ, ხულოს ისეთი დარბაზი უნდა ჰქონდეს, სადაც ნაკრებიც შეძლებს მომზადებას და ვარჯიშს, საამისოდ კი სპორტსკოლა უნდა გაფართოვდეს.

– რამდენად დიდია ახალგაზრდების ინტერესი?

– ამჟამად სპორტსკოლაში 360 სპორტსმენი გვყავს, მაგრამ ინტერესი კიდევ უფრო მეტია. ამიტომ საჭიროა ინტერნატი, საჭიროებისას, ადგილზე დარჩენაც რომ შეძლონ, ან სპორტსკოლის გაფართოება.

– საჯარო სკოლებთან თუ თანამშრომლობთ?

– ყველა სკოლასთან გვაქვს ურთიერთობა, თუმცა ერთი პრობლემაა – მოზარდები ხულოში რომ ჩამოვიყვანოთ და იქვე გავაჩეროთ, უფრო მეტი ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი გვეყოლებოდა. ამიტომაა საჭირო სპორტსკოლის რეფორმა.

ლიტერატურული კონკურსი საბავშვო ნაწარმოებების გამოსავლენად გრძელდება

საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებების გამოსავლენად ლიტერატურული კონკურსი 17 მაისის 18:00 საათამდე მიმდინარეობს. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობასთან“ ერთად, კონკურსი 17 მარტს გამოაცხადა. მსურველებს საშუალება აქვთ, კიდევ ერთი თვის განმავლობაში, გამოაგზავნონ ნაწარმოებები ელფოსტაზე: konkursi@naec.ge.

საკონკურსოდ მიიღება მხოლოდ ის გამოუქვეყნებელი საბავშვო მოთხრობები და შემეცნებითი პროზაული ტექსტები, რომელთა მოცულობაც არ აღემატება 1500 სიტყვას.

მნიშვნელოვანია, რომ ნამუშევრები განკუთვნილი იყოს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის. დაწყებითი სასკოლო ასაკის მიუხედავად, ტექსტები დიდაქტიკური ხასიათის არ უნდა იყოს.

კონკურსის მიზანია ისეთი საბავშვო ნაწარმოებების შერჩევა, რომლებსაც ცენტრი გამოიყენებს ეროვნულ შეფასებებში და აგრეთვე სხვა პროექტების ფარგლებში დაგეგმილი ტესტირებების დროს.

ავტორმა უნდა გამოგზავნოს ელფოსტაზე: konkursi@naec.ge

მინიმუმ 3 გამოუქვეყნებელი პროზაული ნაწარმოები. საკონტაქტო ინფორმაციის (სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი) გარეშე ნამუშევრები არ განიხილება. ტექსტები სასურველია, აკრეფილი იყოს „სილფაინით“, 11 ზომის შრიფტით და „ვორდის“ ფორმატში.

ივნისის თვეში გამოვლინდება სამი გამარჯვებული ავტორი, რომლებიც დაჯილდოვდებიან ფულადი პრიზებით:

I ადგილი – 1500 ლარი
II ადგილი – 1000 ლარი
III ადგილი – 500 ლარი

საუკეთესო ნაწარმოებებს წიგნად გამოსცემს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.

გასათვალისწინებელია, რომ დაუშვებელია თითოეული შერჩეული ნაწარმოების საჯარო სივრცეში გამოქვეყნება მანამდე, სანამ ცენტრი მათ თავისი მიზნებისთვის არ გამოიყენებს.

იმისათვის, რომ სრულფასოვნად მომზადდეს სხვადასხვა სახის ტესტური დავალებები, ცენტრი იტოვებს ტექსტების ადაპტირების უფლებას (ავტორის მითითებით).

კოვიდსტატისტიკა სკოლებში

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გამკაცრდა ჰიგიენის ნორმების დაცვაზე კონტროლი, რათა სააღდგომო არდადეგების დაწყებამდე ვირუსის გავრცელება მაქსიმალურად იყოს თავიდან აცილებული.

სამინისტროს რეკომენდაციით, სკოლებში მკაცრად კონტროლდება მშობელთა და სხვა პირთა სკოლის ტერიტორიაზე მიმოსვლა, ხოლო ვირუსის დაფიქსირების შემთხვევაში – სადეზინფექციო სამუშაოების დროული ჩატარება.

გასული კვირის, 17-25 აპრილის, მონაცემებით, მონიტორინგისა და სავალდებულო ტესტირების შედეგად, ქვეყნის მასშტაბით, ვირუსი მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა 0,3%-ს და მოსწავლეთა 0,01%-ს დაუდასტურდა.

მშობელთა თხოვნით, ასევე, ვირუსის დადასტურების მიზეზით, ქვეყნის მასშტაბით, ამ ეტაპზე, სრულ დისტანციურ სწავლებაზე 74 სკოლა და 191 ცალკეული კლასი იმყოფება.

გაზრდილია რისკის ჯგუფში მყოფი იმ მასწავლებლების რაოდენობაც, რომელთაც დისტანციური სწავლების თხოვნაზე შეღავათი გაეწიათ. ამ ეტაპზე, დისტანციური სწავლების ფორმატში, ქვეყნის მასშტაბით, 123 მასწავლებელი იმყოფება.

ეკატერინე დგებუაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„ეპიდსიტუაციის მდგომარეობა სკოლებში, წინა კვირასთან შედარებით, გაუარესებული არ არის. თუმცა, ეს არ გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ მოვდუნდეთ და ყველა ის წესი და რეგულაცია, რაც არის დადგენილი განათლების სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს მხრიდან, არ დავიცვათ.*

მაქსიმალურად ცდილობენ სკოლები და სკოლის ადმინისტრაციები, მიყვნენ დადგენილ წესებს, პარალელურად, მიმდინარეობს მონიტორინგი. კიდევ ერთხელ მივმართავთ საზოგადოებას თხოვნით, დავიცვათ რეგულაცია, წესები იმისთვის, რომ საკლასო ოთახებში გაგრძელდეს სასწავლო პროცესი.“

თბილისსა და რეგიონებში, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, შეუფერხებლად გრძელდება მასწავლებელთა სისტემური სავალდებულო ტესტირება. ინფექციური საავადმყოფოს წარმომადგენლებმა ტესტირება, ამჯერად, თბილისის 32-ე საჯარო სკოლაში ჩაატარეს.

ტესტირების პროცესი სკოლაში უკვე მეხუთედ ჩატარდა, რის შედეგადაც კოვიდინფექცია მხოლოდ ერთ პედაგოგს დაუდასტურდა. სკოლამ დროულად შეძლო რეაგირება, დისტანციურ სწავლებაზე გადაიყვანა ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი კლასები, რის შედეგადაც თავიდან იქნა აცილებული Covid-19-ის შიდა გავრცელება.

თბილისის 32-ე საჯარო სკოლაში, სადაც 2000-მდე მოსწავლე იღებს განათლებას, მთელი სასკოლო საზოგადოების – სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების – ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ მაქსიმალურად დაიცვან ჯანდაცვის სფეროს რეკომენდაციები და სასწავლო სემესტრის სასკოლო სივრცეში დასრულება შეძლონ.

ნინო კაშია, 32-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *„მასწავლებელთა ტესტირება ორ კვირაში ერთხელ ტარდება. მაქსიმალურად ვიცავთ თერმოსკრინინგს, ხელების დამუშავებას სპეციალური სითხეებით. თუ დილით რომელიმე მოსწავლეს ტემპერატურა აღენიშნება, ველოდებით მშობელს საიზოლაციო ოთახში. სურვილი გვაქვს და მშობელთა უდიდესი მოთხოვნაც არის, რომ დასწრებული ფორმით დავასრულოთ მიმდინარე სემესტრი.“*

სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობა მიმართულია იქითკენ, რომ დასწრებული სწავლა სემესტრის ბოლომდე იყოს შენარჩუნებული.

ვირუსის გამოვლენის შემთხვევებში, სკოლებზე კვლავ წერტილოვანი შეზღუდვები გავრცელდება.

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

ოცნებების ასრულების ქვეყანა

ამერიკაში ყველა ადამიანს წარმატების თანაბარი შანსი აქვს

გიორგი გოგიძე – St. John's University-ს სტუდენტი

– გიორგი, რა ადგილი უჭირავს შენს ცხოვრებაში სკოლაში გატარებულ წლებს?

– თბილისის 24-ე საჯარო სკოლა ჩემთვის განსაკუთრებულია. ყველა იმ წელს, რომელიც ამ სკოლაში გავატარე, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში. ვიყავი სკოლის თვითმმართველობის თავმჯდომარე, სადისციპლინო კომიტეტის წევრი, „რა? სად? როდის?" გუნდის კაპიტანი და წამყვანი. ის სითბო, რომელსაც 24-ე საჯარო სკოლაში ვგრძნობდი, დღევანდელ ცხოვრებაში ძალიან იშვიათია. თითოეული პედაგოგისგან მხარდაჭერას, ხელშეწყობას, გვერდში დგომასა და თანაგრძნობას ვგრძნობდი. სკოლის დირექტორის, ბატონი გიორგი კაკაბაძის და სასწავლო ნაწილის გამგის, ქალბატონი ეკა ბროლაძის მაქსიმალური მხარდაჭერა მქონდა პროექტების განხორციელებისას და სწორედ ამიტომ იყო გამორჩეული 24-ე საჯარო სკოლაში ჩატარებული თითოეული ღონისძიება.

სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე და ამაში სკოლის ყველა წარმომადგენელმა დიდი წვლილი შეიტანა.

– რამ განაპირობა პროფესიის არჩევანი და რომელ უმაღლეს სასწავლებელს მიანიჭე უპირატესობა?

– პროფესიის არჩევანი, მეტწილად, ჩემმა მსოფლმხედველობამ და მისწრაფებებმა განაპირობა. საჯარო გამოსვლებში გაწაფულობა, ორატორობა, საზოგადოებასთან ურთიერთობის უნარ-ჩვევები იყო განმაპირობებელი ფაქტორი, როცა საერთაშორისო ურთიერთობების განხრა ავირჩიე, ინგლისური სექტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში.

– რატომ გადაწყვიტე სწავლის გაგრძელება აშშ-ში?

– ამერიკის უმაღლესი განათლების სისტემა ერთ-ერთი სრულყოფილია და წამყვანი ადგილი უჭირავს მსოფლიოს მასშტაბით. ყოველთვის მინდოდა, უმაღლესი განათლება ამერიკაში მიმეღო და ჩემი შესაძლებლობები მოწინავე უნივერსიტეტში გამომეცადა.

ვსწავლობ St. John's University-ის იურიდიულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის საშუალო სწავლის საფასური შეადგენს $50 000-ს, საზოგადოებრივი კოლეჯის – $15 000-ს. აქედან უნივერსიტეტი სტუდენტს, შეღავათის სახით, ნაწილს უფინანსებს, ნაწილის გადახდა კი თავად უწევს. სწავლის საფასურის გადახდა შესაძლებელია ყოველთვიურად, სემესტრულად და წლიურად. წარჩინებულ სტუდენტებს უნივერსიტეტი შიდა დაფინანსებას ან შიდა გრანტს აძლევს, თუმცა ნაწილის დაფარვა თავად სტუდენტს მაინც უწევს.

უმაღლესი აკადემიური მოსწრების სტუდენტმა შეიძლება უნივერსიტეტის შიდა გრანტი მიიღოს, რაც დიდი შეღავათია, სწავლის საფასურიდან გამომდინარე. რაც შეეხება ფედერალურ გრანტებსა და დახმარებებს, ამის უფლება მხოლოდ „მწვანე ბარათის" მფლობელებსა და მოქალაქეებს აქვთ.

ამერიკულ უნივერსიტეტში სტუდენტის ცოდნის შეფასება გარკვეული კრიტერიუმებით ხდება, ეს მოიცავს: ქვიზებს, კვლევებს, აკადემიურ ნაშრომებს, შუალედურ და ფინალურ გამოცდებს.

სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზი შეიძლება გახდეს სერიოზული დისციპლინარული გადაცდომა ან სტანდარტის მინიმუმის შეუსრულებლობა.

– როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა აქვს უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებს ქართულთან შედარებით?

– უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების უპირატესობა უნივერსიტეტის ისტორიით, კვლევების მეთოდებითა და სიძლიერით, თეორიული და პრაქტიკული მიდგომის სინთეზით გამოიხატება; გარდა ამისა, ტექნიკური აღჭურვილობებით, მდიდარი ბიბლიოთეკებით, წამყვან პოზიციებზე დასაქმების პროცენტული მაჩვენებლითა და პროგრამის მოდერნისტული ორგანიზაციით. ქართულ განათლების სისტემას სჭირდება უფრო მეტი სპეციალიზება ვიწრო სფეროებზე, რადგან, როგორც წესი, პროგრამები ზედმეტად განზოგადებულია და მხოლოდ თეორიული ხაზია განვითარებული. მეტი პრაქტიკა, მეტი კვლევა და განვითარებაა საჭირო.

– რა შეგიძლია გვითხრა აშშ-ს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების შესახებ?

– ამერიკის ბიბლიოთეკები საკმაოდ მდიდარია ანტიკური, რენესანსული თუ თანამედროვე მასალებით, წიგნებით, წყაროებით, წერილებითა და ნაშრომებით. სწორედ ამიტომ, აქ ჩატარებული კვლევები ბევრად უფრო დახვეწილი და მრავლისმომცველია.

– რომელია შენთვის ყველაზე საინტერესო სივრცე უნივერსიტეტში და რამ მოახდინა შთაბეჭდილება, როცა პირველად შეხვედი ამერიკულ სასწავლებელში?

– პირადად ჩემთვის, ეს იყო პირადი ნივთების შესანახი კარადა, რადგან მხოლოდ ფილმებიდან ვიცოდი ამ სივრცის შესახებ და როცა ამის მომსწრე თავად გავხდი, ძალიან ბევრი სასიამოვნო მოგონება აღძრა ჩემში.

– პანდემიის პერიოდში დღის წესრიგში დადგა ონლაინ სწავლების აუცილებლობა. პანდემიამ დაგვანახა, რომ შესაძლებელია განათლების მიღება დისტანციურად. თუმცა საზოგადოების გარკვეული ნაწილი უპირატესობას პირისპირ სწავლებას ანიჭებს. შენ რას ფიქრობ ამ საკითხთან დაკავშირებით?

– ტრადიციულ მეთოდს, ცხადია, ვერაფერი შეედრება, როცა აუდიტორიაში, ლექტორთან და თანაკურსელებთან პირისპირ, სწავლობ და გამოცდილებას იღებ. თუმცა ამერიკაში, გადასახადის რაოდენობიდან გამომდინარე, სწავლას აუცილებლად სამუშაოც უნდა შეუთავსო, რომ სწავლის საფასურის გადახდა ზედმეტი სტუდენტური სესხების გარეშე შეძლო. ამიტომ ჩემთვის ონლაინ სწავლება, შეიძლება ითქვას, კომფორტული აღმოჩნდა.

– რას ურჩევ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ?

– პირველ რიგში, დავიწყებ იქიდან, რომ ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნაა საჭირო. სასურველია, სტუდენტს ჰქონდეს მაღალი ქულა TOEFL-სა ან IELTS-ში, გამოცდებში, რომლებსაც უნივერსიტეტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ასევე ძალიან მნიშვნელევანია ფსიქოლოგიური მზადყოფნა, რომ სტუდენტი ახალ გარემოსა და რეალობას მენტალურად სწორად გაუმკლავდეს. რაც შეეხება კრედიტების აღიარებასა და გადასახადებს, ეს ფორმალური პროცესია და სტუდენტს ყოველთვის შეუძლია, მაღალი აკადემიური მოსწრებით, უნივერსიტეტის შიდა დაფინანსება მოიპოვოს.

– გიორგი, რა არის ის, რაც ყველაზე მეტად გაოცებს, გაკვირვებს ან აღგაფრთოვანებს ამერიკაში?

– ეს არის გარემო, რომელშიც შეგიძლია გახდე ის, ვინც საკუთარი შესაძლებლობიდან, უნარებიდან, ნიჭიდან და შრომისმოყვარეობიდან გამომდინარე, გინდა რომ იყო. აქ არ აქვს მნიშვნელობა წარმომავლობას, კანის ფერს, შეხედულებებს, ყველა ადამიანს წარმატების თანაბარი შანსი აქვს, რადგან სისტემა მერიტოკრატიას ეფუძნება და ნეპოტიზმი და კორუფცია უცხოა. მოწინავე ადგილზე პროფესიონალიზმი დგას.

– სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს, როგორია ამერიკული სტუდენტური ცხოვრება?

– პანდემიამდე, თავისუფალ დროს, ადგილობრივ სკვერებში ვიკრიბებოდით, სხვადასხვა ტიპის გართობის საშუალებით, მაგალითად, ბოულინგით, ფილმის სესიებითა და სხვა მსგავსი აქტივობებით ვიქცევდით თავს.

– სწავლის პარალელურად, ამერიკის სიცოცხლის სადაზღვევო კომპანიაში, გენერალური მენეჯერის პოზიციაზე მუშაობ, რა გზა გაიარე წარმატების მისაღწევად?

– ამერიკის სიცოცხლის სადაზღვევო კომპანიის (American Income Life), რომელსაც Forbes-ის ჟურნალში, ყოველწლიურად, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს, საუკეთესო აგენტის ტიტული 2020 წლის ბოლო მეოთხედში მოვიპოვე. იქამდე კი, საკმაოდ კომპლექსური ინტერვიუ გავიარე, პროქტორის გამოცდა, საშტატო სალიცენზიო გამოცდა, რომ სადაზღვევო აგენტად დამეწყო მუშაობა. შემდეგ გენერალური მენეჯერის პოზიციაზე გადამიყვანეს, შესრულებული სამუშაოდან, №1 თანამშრომლის ტიტულიდან და კომპანიის დამფუძნებელთა კლუბის წევრობიდან გამომდინარე.

– როგორ გესახება მომავალი, თუ საქართველოში დაბრუნდები, რა მოლოდინები გაქვს? რატომ უჭირთ უცხოეთში განათლება მიღებულ ახალგაზრდებს სამშობლოში დაბრუნება?

– ვფიქრობ, ამ ეტაპზე, საქართველოს აქედან უფრო დავეხმარები. ამერიკული განათლება მნიშვნელოვანია ცოდნის საქართველოში გაზიარებისა და დანერგვის პერსპექტივით. აქაური გამოცდილება ძალიან დამეხმარება, ჩემი წილი აგური დავდო ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. ბევრ ქართველ ახალგაზრდას საქართველოში დაბრუნება უჭირს, რადგან ის სამუშაო თუ სამოღვაწეო ასპარეზი არ აქვს, რაც უცხოეთშია. მიუხედავად ამისა, ერთობლივად, ერთსულოვნებით, საქართველოში შესაძლებელია ისეთი ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური გარემოს შექმნა, სადაც ქართველი პროფესიონალები და სპეციალისტები კომფორტულად იგრძნობენ თავს.

– როგორია შორიდან ოკეანის მიღმა დარჩენილი შენი ქვეყანა?

– საქართველო ჩემი სამშობლოა და, უფლის შემდეგ, განსაკუთრებულად სამშობლო მიყვარს. სამომავლო ფიქრები და გეგმებიც საქართველოს დახმარებასა და გაძლიერებას უკავშირდება. ამ ეტაპზე, ქართველ ახალგაზრდებს სამშობლოს დახმარება კარგი განათლების მიღებით შეუძლიათ, ამიტომ, ამ მიზნით, უცხოეთში, საქართველოდან ასე შორს ჩემი გამგზავრება, ისევ და ისევ სამშობლოზე ზრუნვითაა განპირობებული.

ესაუბრა **მაკა ყიფიანი**

ლიტერატურული კონტრასტები

ქუჩის ბავშვების ცნობიერებაში უსამართლობის რწმენა მყარია

ნატალი აბესაძე
ნიკო ბაგრატიონის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

„მიდიოდნენ ერთად, მაგრამ ისე, თითქოს ვერც ამჩნევდნენ ერთმანეთს, თითოეული თავისთვის, თავის ფიქრებში წასული. ასე ხშირად დადიან ძმები, განსაკუთრებით მაშინ, როცა პატარები არიან.“

გურამ გეგეშიძე – „შურისძიება“

„მათ ნატყვიარი აკრავთ წარბებზე,
გული სავსე აქვთ შხამის წვეთებით,
ამ დროს მოლხენით არის დარბაზი,
ორკესტრი გრგვინავს თავგამეტებით.“

გალაკტიონი

„სიყვარულის უნარი“ – ასე დაარქვა სახელად ფრიც რიმანმა თავის ერთ-ერთ წიგნს და ნაწარმოებში ბევრჯერ ახსენა, რომ სიყვარულიც ჩვეულებრივი უნარია, რომელიც ადამიანს ადრეულ ბავშვობაში ან გამოუმუშავდება, ან არა. იმისთვის, რომ მოზრდილმა ადამიანმა გასცეს სიყვარული, ბავშვობაში მას უნდა უჩვენონ ეს გრძნობა.

არათუ სიყვარულის ნაკლებობა, მიკუთვნებულობის განცდის არქონაც კი ადამიანისთვის ზიანის მომტანია, ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებს კი ორივეს ნაკლებობა აქვთ ამოსავსები. არც სიყვარული, არც მიკუთვნებულობა, შიში და საკუთარი თავის იმედზე ყოფნა, რაც არათუ ბავშვისთვის, ზრდასრულისთვისაც რთული ასატანია.

ამ თემას თან სდევს კონტრასტი. ასეთ კონტრასტებს ხშირად ვნახავთ გურამ გეგეშიძის მოთხრობაში „შურისძიება“. ერთი მხრივ, სიმშვიდე, დედობრიობა და სითბო, მეორე მხრივ კი, უიმედობა და სიცივე, ქუჩის „უნუგეშო სევდა“.

„ეზოს რკინის ჭიშკართან გრძელხალათიანი სქელი ქალი იდგა, ხელში ცარიელი ვედრო ეჭირა და როცა ძმები ხალათიან სქელ ქალს გაუსწორდნენ, ქალმა დედობრივი, ტკბილი ხმით სთხოვა უფროსს:

– ბიჭიკო, თუ ღმერთი გწამს, წყალი მომიტანე!

მაგრამ ბიჭი არ გაჩერდა და თავაზიანად უპასუხა:

– არ მწამს, დეიდა, ღმერთი...“

ასეთია რეზიკოს პასუხი, მოულოდნელი, ქალისთვის, რომელსაც დედობრივი ხმა აქვს და ოდნავ ჩასუქებულია, რაზეც რეზიკო გესლიანად გაიფიქრებს, რომ ქალი ჭამითაა ასე და არა ავადმყოფობით. პასუხი მოულოდნელია, თუმცა, რეზიკოს პერსპექტივიდან სავსებით ბუნებრივი, რადგან არც ამ ქალის სითბო და არც მისი დედობრიობა რეზიკოსთვის და მისი პატარა ძმისთვის არაა განკუთვნილი.

კონტრასტულია რეზიკოს პატარა ძმის აღწერაც, რითაც ავტორი უკეთ წარმოგვიდგენს ბავშვის დაუცველობას და უმწეობას შეუფერებელ გარემოში:

„ეს იყო ნაზი, ფუნჩულა ბიჭი, დაახლოებით ექვსი-შვიდი წლისა. მორცხვი, ცისფერთვალება და ლოყაწითელი... მას ჰქონდა თეთრი ქათქათა ტანი, რომელსაც მოუვლელობა ძალზე ეტყობოდა. ის ბევრ ადგილას იყო დაკაწრული, გარდა ამისა, ფართო, ჭუჭყიანი ლაქები აჩნდა მკერდზე და კისერზე, რაც თვალში ძლიერ გეცემოდათ იმისი ტანის სითეთრის გამო. მუხლს ქვემოთ, შიშველი ფეხები შემხმარი ტალახით ჰქონდა დასვრილი. ყოველივე ეს არ ეხამებოდა ამ ბავშვის სინაზესა და ფაქიზ გარეგნობას. ის იდგა თავისი ძმის უკან, ტირიფებს შორის, მაღალ, ხმელ ბალახში და ხელები ზურგს უკან დაეწყო.“

ამბის კულმინაციისთვის მზადება იწყება რეზიკოს აგრესიით, რომელსაც ის ჯერ თავისი ძმისადმი შეუბრალებელი მოპყრობით (ცემით) ავლენს, შემდეგ საზამთროების ქურდობით აგრძელებს და საბოლოოდ – მერაბაზე შურისძიებით ასრულებს. ეს ამბავი რეზიკოს ამბავია, თითოეული მისი ქმედება მასში რაღაც კვალს ტოვებს და უამრავ კითხვას უჩენს, რაზეც პასუხი თვითონაც არ იცის, ხშირად იმასაც ვერ ხვდება – რატომ იქცევა ასე. ბრაზი, სიბრალული, სინანული – ამ გრძნობების ნარევია მოზარდის არსებაში და არ იცის, რომელს გაჰყვეს ბოლომდე.

მოთხრობაში კონტრასტი კიდევ ერთხელ მაშინ შემოდის, როცა რეზიკო თავისზე ბევრად ძლიერ ბიჭზე, ომარაზე შურის საძიებლად მიდის. ომარას სახლი მოვლილია, ეზოში ხეხილია დარგული, რეზიკოსთვის კი რკინის ჭიშკარია მხოლოდ ნაცნობი:

„ომარას სახლი ეზოს სიღრმეში იდგა. ეს იყო აგურის ახალი სახლი. ეზოს რკინის ჭიშკარი ჰქონდა. რეზიკოს არ უყვარდა რკინისჭიშკრიანი ეზოები, რადგან იმ სასაფლაოს, სადაც მისი დედ-მამა იყო დამარხული, რკინის ჭიშკარი ჰქონდა. რკინის ჭიშკარი რეზიკოს სიკვდილს აგონებდა და უსიამოვნო გრძნობას უქმნიდა. ახლა ის იდგა ქუჩაში, ფეხშიშველი, გამხდარი, მოკლე ტრუსით, გახუნებული მაისურით, რომლის უბეში ცივი ქვები ეწყო, იხედებოდა ხეხილით სავსე, მოვლილ-მოსუფთავებულ ეზოში და გრძნობდა ამ ოჯახის სიმაძღრეს და უზრუნველყოფას.“

კონტრასტი ომარას დედის დახასიათებით გრძელდება:

„ეს იყო ჭაღარათმიანი, ლამაზი ქალი, რომელიც ალერსით და სიყვარულით უყურებდა რეზიკოს სახეში, და რეზიკომ გაკვირვებით შენიშნა, რომ მოსწონდა ამ ქალის მზრუნველი და თბილი ხმა, მოსწონდა გემრიელი სადილის სურნელით გაჟღენთილი მისი წინსაფარი და, საერთოდ, ყველაფერი მოსწონდა ამ ქალისა, თუმცა ეს ქალი მტერი იყო.“

ამის შემდეგ აღარ არის გასაკვირი, რომ ქუჩის ბავშვების ცნობიერებაში უსამართლობის რწმენა მყარია. თუმცა, რეზიკო ჯერ კიდევ არ არის მთლად ქუჩის ბავშვი, სიღარიბის და საზამთროების მონატრების მიუხედავად, მას სახლში მაინც ელოდება მოხუცი ბებია და კიდევ პატარა ძმა, რომლის გამოც ახლა მან შური უნდა იძიოს. ასეც მოიქცევა. ომარაზე შურისძიების შემდეგ კი მაინც ვერ გრძნობს ბედნიერებას, რადგან ბედნიერება მხოლოდ სიყვარულს შეუძლია აგრძნობინოს. სიყვარული კი, როგორც ფრიც რიმანი ამბობს, ერთი ჩვეულებრივი უნარია, ის უნარი, რომელიც ბავშვებს უნდა აჩვენონ იმისათვის, რომ თავადაც გასცენ.

ასეთი ბავშვები და საერთოდ, ბავშვები მუდმივად სიყვარულის იდეას ეძებენ და ებღაუჭებიან. არის ასეთი მონაკვეთი ნუგზარ შატაიძის მოთხრობაში „მოგზაურობა აფრიკაში“:

„ჯამი ცეცხლიდან გადმოვდგი, წყალი გადავწურე.

ისევ ის ბეჭედი მედგა თვალწინ და უეცრად გავიფიქრე, რა იქნება, რომ ავდგე და მამის მოსაძებნად წავიდე-მეთქი. ამ აზრმა ისე ამაგდო, ხელები ამიცახცახდა და მეორე კვერცხი ველარ გავფცქვენი – ეგეთი ფეთიანი ვარ, ყველაფერზე ეგრე ვიცი გაგიჟება. ჭამის დროს სულ გამგზავრებაზე ვფიქრობდი და გული გამალებით მიცემდა.“

ასეთი ბავშვები და საერთოდ, ბავშვები მუდმივად სიყვარულის იდეას ეძებენ და ებღაუჭებიან.

ბავშვი ყველაფერს მიატოვებს და სოხუმში მამის საძებნელად წავა, რადგან თბილისში დედა მასზე აღარ ზრუნავს, ერთადერთი მეგობარი კი სიცივეს შეეწირა. ბავშვმა უამრავი დაბრკოლება უნდა გაიაროს, მაგრამ თუ მამას ნახავს, დაკარგული სიყვარული შეუძლია დაიბრუნოს, ამიტომ, უღირს ამისთვის თავგანწირვა.

ასეთი მოთხრობები კიდევ ერთხელ გვახსენებენ, თუ რა დიდი ადამიანები არიან ბავშვები და ამავდროულად, ზოგიერთ მათგანს რამდენის ატანა უწევს ბავშვური მხრებით.

სასწავლო წლის გახანგრძლივება არ იგეგმება

არსებული სტატისტიკის მიხედვით, სკოლებში კორონავირუსით ინფიცირების მაჩვენებლები ზრდადია, თუმცა, როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ეკატერინე დგებუაძე აცხადებს, ეს მაჩვენებლები იმ ნიშნულზე ჯერ მაინც არ არის, რომ მნიშვნელოვანი შეზღუდვები დაწესდეს: *„ინფიცირების მაჩვენებელი მასწავლებლების შემთხვევაში 0,1%-ია, მოსწავლეების შემთხვევაში – 0,3%, რაც იმაზე მაღალია, ვიდრე გუშინ იყო, მაგრამ ეს არ არის ის სტატისტიკა, რომელიც გვეუბნება, რომ ჩვენ სკოლებთან მიმართებაში გარკვეული მკაცრი ზომები უნდა მივიღოთ. თუმცა, ჩვენ ვართ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრები და რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ მის გადაწყვეტილებებს“.*

როგორც ცნობილია, მთავრობის გადაწყვეტილებით, გახანგრძლივდა დასვენების დღეები და სკოლები სწავლის განახლებას 13 მაისს შეძლებენ. ასეთი გადაწყვეტილების მიუხედავად, მინისტრის მოადგილე განმარტავს, რომ საჯარო სკოლებში სასწავლო წელი, ტრადიციულად, 15 ივნისს დასრულდება. მთავრობის მიერ გამოცხადებულ დასვენების დღეებს კი, სკოლები ინდივიდუალური გრაფიკით აანაზღაურებენ.

„მინდა ვუთხრა ჩვენს მოსწავლეებს, მათ მშობლებსა და მასწავლებლებს, რომ სასწავლო პროცესი დასრულდება 15 ივნისს, იმ დღეს, რა დღესაც ტრადიციულად სრულდება ხოლმე. შესაბამისად, სწორედ იმ 6 სასწავლო დღესთან დაკავშირებით, რომელიც დასვენების დღედ გამოცხადდა, უკვე მომზადებული რეკომენდაციები დაეგზავნათ სკოლებს“. მისივე თქმით, რეკომენდაციებში საუბარია იმაზე, თუ როგორ მიაღწიონ იმ მიზნებს, რომელიც თითოეულ სკოლას ჰქონდა დაგეგმილი. რეკომენდაციების თანახმად, სკოლებს ეძლევათ უფლება, ინდივიდუალურად დააორგანიზონ ეს ყველაფერი, თავადვე განსაზღვრონ როგორ გამოიყენონ საგაკვეთილო პროცესი, მაგალითად, რამდენიმე საათის დამატებით თუ შაბათი დღის გამოყენებით. მთავარია, სასწავლო დღეებისა და საათების გამოყენებით, მიაღწიონ დაგეგმილ შედეგს. *„დეტალურად გაწერილი რეკომენდაციები ყველა სკოლას მიეწოდა. დარწმუნებული ვარ, ისინი ინდივიდუალურად იმუშავებენ სასწავლო გეგმის გარშემო და 15 ივნისს ყველა სკოლა ჩვეულ რეჟიმში დაასრულებს სასწავლო პროცესს“*, – აცხადებს ეკატერინე დგებუაძე.

რაც შეეხება მასწავლებელთა ვაქცინაციას, ჯანდაცვის მინისტრის, ეკატერინე ტიკარაძის ინფორმაციით, მათ მიერ უკვე აღირიცხა 55 წელს ზევით მყოფი ასაკის 30 000-მდე სკოლის პედაგოგი და 10 000-მდე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგი, რომლებსაც ეკუთვნით კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. მინისტრის განმარტებით, პედაგოგთა ვაქცინაცია საგრძნობლად შეუწყობს ხელს სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ გაგრძელებს. რაც შეეხება მოსწავლეებისთვის დაწესებულ რეგულაციებს, მისივე განცხადებით, უწყების მიერ არ იგეგმება ისეთი რეგულაციების გადახედვა, როგორიცაა მოსწავლეებისთვის, გარკვეული ასაკის ზევით (მე-4 კლასიდან ზევით), პირბადის სავალდებულოდ ტარება. *„ეს არის ისეთი რეგულაციები, რომლის გადახედვაზე მსჯელობაც ძალიან რთულია ეპიდემიის პირობებში, ვინაიდან პირბადე არის თითქმის ერთადერთი ყველაზე ეფექტური საშუალება, რომელიც ჩვენ დღეს საუკეთესოდ გვიცავს. თვითონ სასწავლო პროცესის გამართულობისთვის რაც იგეგმება და რაც ჩვენ უკვე დავიწყეთ განათლების სამინისტროსთან ერთად, ეს არის პედაგოგების იმ ჯგუფის ვაქცინაცია, რომელსაც დღესდღეობით, ასაკობრივი ჯგუფიდან გამომდინარე, ეკუთვნის ვაქცინა. ჩვენ ვთვლით, რომ სწორედ ამ პირების ვაქცინაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ გაგრძელებას. ბავშვების შემთხვევაში, ჩვენ კვლავ ერთადერთი გამოსავალი გვრჩება – სოციალური დისტანცია, პირბადის გამოყენება და პირადი ჰიგიენა, რაზეც უკვე ადგილზე უნდა იზრუნოს სკოლამ და პედაგოგმა“*, – განაცხადა მინისტრმა.

ყოველკვირეული სტატისტიკა, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქვეყნებს, თანდათან მზარდია. მშობელთა თხოვნით, ასევე, ვირუსის დადასტურების მიზეზით, ქვეყნის მასშტაბით, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის მსურველი სკოლებისა და ცალკეული კლასების რაოდენობაც იზრდება. მათ რიცხვს ემატება რისკ ჯგუფში მყოფი იმ მასწავლებლების რაოდენობა, რომლებმაც პირადად მიმართეს სკოლებს თხოვნით, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

დღევანდელი მდგომარეობით, სტატისტიკა ასე გამოიყურება: სრულ დისტანციურ სწავლებაზე 73 სკოლა და 187 ცალკეული კლასი იმყოფება, ასევე დისტანციური სწავლების ფორმატში, ქვეყნის მასშტაბით, 133 პედაგოგი რჩება.

ქრისტეანთ აღდგომის ჰაშწყინგვალე ლოცვანაწყლის



7 ლარი

12 ლარი

10 ლარი

9 ლარი

მაგალითად „ახალი განათლება“ გთავაზობთ

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

სიახლე მარტიდან

მასწავლებლის გამოცდებისთვის
ფასი – 27 ლარი

წიგნში თავმოყრილია I-IV კლასების მასწავლებელთა კომბინირებული საგამოცდო მასალა, კითხვა-პასუხის და ტესტების სახით

ფასი – 17 ლარი

ტექსტის გააზრება

15 ლარი

10 ლარი

11 ლარი

15 ლარი

15 ლარი

ტესტები ქართულ ლიტერატურაში
ეროვნული გამოცდისათვის

წიგნი I
V-XVIII სს მწერლობა
წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა
თითო ტომის ფასი – 13 ლარი

შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
მისამართი: აკაკი წერეთლის გამზ. №126, თბილისი 0119
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

იბეჭდება სტამბა „კოლორში“ მისამართი ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის №3

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 2 ლარი

რედაქტორი:
ლალი ჯელაძე

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.